პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 220 (11831) | ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ატლანტიკის გავლით ათდღიანი მოგზაურობის შემდეგ ხომალდმა „ბალტიკამ“ ღუზა ჩაუშვა ამერიკის ნაპირებთან. თეთრი ფერის ტურბოელექტრომავალი შიდგა მდინარე ისტ-რივერზე 73-ე პირსს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის მახლობლად, სადაც გუშინ გაიხსნა გენერალური ასამბლეის XV სესია.

ამ სურათზე, რომელიც ფოტოტელეგრამით არის მიღებული, აღბეჭდილია მოგზაური, როცა საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის მიწაზე გადავიდა. მჭუხარე ტაში, მეგობრული ღიმილი, მისალმების შეძახილები, ცოცხალი ყვავილების თაიგულები — ასე შეხვდნენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მედროშეს.

ისტორიული სესია გაიხსნა

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საკ-დესი). დღეს აქ 15 საათსა და 33 წუთზე ნიუ-იორკის დროით (22 საათსა და 33 წუთზე მოსკოვის დროით) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი XV სესია.

სესიას ესწრებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 82 ქვეყნის დელეგაციები. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის სსრ დელეგაციას — ნ. ვ. პოდგორნი, ბელორუსიის სსრ დელეგაციას — კ. ტ. მაზუროვი.

სესიის სხდომათა დარბაზში არიან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია ა. ნოვოტნის მეთაურობით, რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. გომულკას მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — იანოშ კადარის მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ტ. ჟივკოვის მეთაურობით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს მ. შეჰუ, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას — ი. ტიტო. კუბის დელეგაციის მეთაურია ფ. კასტრო. სესიასთან დაკავშირებით ნიუ-იორკს ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ა. ნასერი. აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყნის დელეგაციებს მეთაურობენ მთავრობათა მეთაურები. მოელიან ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს, გვინეის პრეზიდენტის სეკუ ტურეს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუსა და სახელმწიფოთა და მთავრობათა სხვა მეთაურების ჩამოსვლას.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას სესიაზე მეთაურობს სახელმწიფო მდივანი ჰერტერი, ინგლისის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიუმი.

სესიის წინასწარ დღის წესრიგში შეტანილია დაახლოებით ასი საკითხი. მათგან უმნიშვნელოვანესია — საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა.

სესიას ესწრება მსოფლიოს ათეულობით ქვეყნის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ორი ათასი წარმომადგენელი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის მახლობლად შეიკრიბნენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც სხდომათა დარბაზიდან მოუთმენლად მოელიან ახალ ამბებს.

ტრადიციის მიხედვით სესია გახსნა გენერალური ასამბლეის წინა XIV სესიის თავმჯდომარემ, პერუს დელეგატმა ბელაუნდემ.

ტრადიციული წუთიერი მოფიქრების შემდეგ ასამბლეამ დანიშნა სამანდატო კომისია და შეუდგა სესიის თავმჯდომარის არჩევნებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ფიდელ კასტროს

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საკ-დესი). დღეს შუადღისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს დოქტორ ფიდელ კასტროს ოტელ „ტერეზიაში“, რომელიც მდებარეობს ჰარლემის — ნიუ-იორკის ზანგთა რაიონის ცენტრში. ათასობით ნიუ-იორკელი შეიკრიბა ოტელთან, რათა მისალმებოდა ორი თავარობის მეთაურებს.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ფიდელ კასტროს შეხვედრა 45 წუთს გაგრძელდა. 12 საათსა და 55 წუთზე ნ. ს. ხრუშჩოვმა დატოვა ოტელი ფიდელ კასტროს თანხლებით.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1960 წლის პამირის ალპინისტური ექსპედიციის მონაწილეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ალპინისტური ექსპედიციის მიერ პამირის ზულუმართისა და იმიერალაის ქედების სიმაღლოვანი ტრავერსის წარმატებით განხორციელებისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ახვლედიანი** ავთანდილ აფრასიონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — სტუდენტი
2. **ახვლედიანი** ზურაბ იოსების-ძე — ექსპედიციის უფროსის მოადგილე — პედაგოგი
3. **ახვლედიანი** ლევან აფრასიონის-ძე — ექსპედიციის უფროსი — ქუთაისის სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციების საქალაქო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე
4. **ბალახაძე** გიორგი ნიკოლოზის-ძე — ექსპედიციის კინოოპერატორი
5. **ბერაძე** ომარ შალვას-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ინჟინერი
6. **გაბლიანი** ილია ნესტორის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ბუღალტერი
7. **გიგინეიშვილი** ოთარ ისიდორეს-ძე — პამირის სიმაღლოვან ექსპედიციაში საქართველოს სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის რწმუნებული — დოცენტი
8. **გუგავა** დიმიტრი სერაპიონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — პედაგოგი
9. **გუგავა** სოზარ ონისიმეს-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის, წევრი — მეტყევე ინჟინერი
10. **დანგაძე** დიმიტრი დავითის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — მხატვარი
11. **კეცხოველი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს ალპინისტთა ფედერაციის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
12. **კობიძე** გიორგი კარპეზის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — ზეინკალი
13. **კუხიანიძე** თეიმურაზ მაქსიმეს-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — გეოლოგი
14. **ლეონტიევი** ივანე კონსტანტინეს-ძე — ექსპედიციის რადისტი
15. **მეძმარიაშვილი** ჯუმბერ ალექსანდრეს-ძე — ექსპედიციის მწვრთნელი — საქართველოს ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის გამგე
16. **მუსელიანი** ჯუანშერ ირაკლის-ძე — ექსპედიციის ექიმი
17. **ნარჩემაშვილი** თეიმურაზ ივანეს-ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — მექანიკოსი
18. **ყალაბეგიშვილი** გივი ალექსანდრეს-ძე — ექსპედიციის უფროსის მოადგილე — პედაგოგი
19. **ჩართოლანი** ლაერტი ჰეჰიკოს-ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — საქართველოს ალპ. მესტიის რაიკომის ინსტრუქტორი
20. **ჩართოლანი** შოთა გაბრიელის-ძე — დამხმარე ჯგუფის უფროსი — პედაგოგი
21. **ჩართოლანი** ჰეჰიკო გაიოზის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — მუშა
22. **ჩოგოვაძე** კუკური გიორგის-ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — პედაგოგი
23. **წერედიანი** გივი იოსების-ძე — დამხმარე ჯგუფის წევრი — პედაგოგი
24. **ხერგიანი** ბექნუ ბესარიონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი — კოლმეურნე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 19 სექტემბერი.

ძმური მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ვალტერ ულბრიხტს, ოტო გროტევოლს, იოჰანეს დიკმანსა და ერიხ კორენსს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის გამო.

ეს ხელშეკრულება, ნათქვამია მისალოცავ დეპეშაში, მოასწავებს ახალ ისტორიულ ეტაპს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის განვითარებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა და ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაუჩენლობა. ხელშეკრულება ხელს უწყობს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობის, მჭიდრო და გულწრფელი თანამშრომლობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას.

როგორც აღნიშნულია დეპეშაში, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის მეგობრობა მკაფიო მაგალითია ახალი ტიპის ურთიერთობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა და ურთიერთდახმარება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპები.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. როგორადაც ნებისმიერ ბრაზობდნენ დასავლეთის იმპერიალისტური ძალები, აღნიშნულია დეპეშაში, ისინი ვერ შეაჩერებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სწრაფ განვითარებას და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების მეხუთე წლისთავის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ლოტარ ბოლცს. (საკდესი).

დიდი მეგობრობის სახელოვანი თარიღი

ბერლინი, 20 სექტემბერი (საკდესი). ორივე ქვეყნის ხალხთა მტკიცე ძმური მეგობრობის ნიშნით აღინიშნა მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს მოსახლეობამ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავი. დღეს საღამოს ბერლინში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, ბერლინის მშრომელთა წარმომადგენლებმა, წარმოების მოწინავეებმა, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. დარბაზში დამსწრეთა შორის იყვნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებულის ა. ი. გორჩაკოვის მეთაურობით და საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი გერმანიაში გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. იაკუბოვსკი.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ სხდომაზე მოსულ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვალტერ ულბრიხტს.

გაისმის საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. საზეიმო სხდომა გახსნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ ჰორსტ ბრაშმა, რომელმაც მოკლე სიტყვაში აღნიშნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხელშეკრულების — როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესანიშნავი დოკუმენტის მნიშვნელობა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოტარ ბოლცმა.

სსრ კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ი. გორჩაკოვმა მიულოცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხელშეკრულების ხელმოწერის წლისთავი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნეს მისალმებელი დეპეშა, რომლითაც უსურვებენ მას და მთელ საბჭოთა დელეგაციას დიდ წარმატებებს იმ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა.

„უიარაღო და უომო მსოფლიოსათვის“

აღნიშნა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-14 სესიაზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლის წლისთავი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში 19 სექტემბერს გამართა საღამო, რომელსაც ეწოდებოდა „უიარაღო და უომო მსოფლიოსათვის“.

საღამოს მონაწილეებმა ნიუ-იორკში საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე გაგზავნეს დეპეშა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად გამოვთქვამთ იმედს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესია გამონახავს ჩვენი დროის ყველაზე აქტუალური პრობლემის — საყოველთაო, სრული და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების პრობლემის სწორ გადაჭრას.

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ! ნება გვიბოძეთ ჩვენ — დიდი საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გისურვოთ დიდი წარმატება მშვიდობისათვის, გამლეტებული შეიარაღების ლიკვიდაციისათვის, ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის, თქვენ მიერ დასახული საყოველთაო და სრული განიარაღების დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს უიარაღო, უომო მსოფლიოს!“

ამხ. დ. ს. პოლიანსკი ვლადივოსტოკში ჩავიდა

ვლადივოსტოკი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ვლადივოსტოკში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი.

აეროდრომზე დ. ს. პოლიანსკის შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ე. ჩერნიშოვი, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ს. ბირიუკოვი და სხვები.

ჩამოსვლის დღეს დ. ს. პოლიანსკი გაეცნო ქალაქის მშენებლობის მიმდინარეობას. მან დაათვალიერა საშენებლო მოედანები, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში და ბეგოვაიას ქუჩაზე, აგრეთვე დიდპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნის მშენებლობა.

დღეს დ. ს. პოლიანსკი ეცნობოდა ვლადივოსტოკის საწარმოთა მუშაობას.

ჩვენი რესპუბლიკის დღე

უპატაკებენ სამშობლოს

◆ **წყალტუბოს** რაიონის მეცხოველეებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს. 10 სექტემბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საშუალო წველადობის წლიური გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულეს. საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიღებულია 1.227 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.210 კილოგრამისა. ეს 357 კილოგრამით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

წველადობის გადიდების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რიონის კიკვიძის სახელობის, მაღლაკის ლენინის სახელობის, გვიშტიბის მარქსის სახელობის, პატრიკეთის მეჩვიდმეტე პარტყრილობის სახელობისა და ოფშკვითის კოლმეურნეობებმა. ამ კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.750-1.860 კილოგრამი რძე.

წყალტუბოელმა მეცხოველეებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა აიყვანონ 1.500 კილოგრამამდე.

◆ **თელავის** რაიონის მეაბრეშუმეებმა 18 სექტემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება. (საკდესი).

რომ იშრიალოს ფყეამ

ხაშური. (საკ. კორ.). შვიდწლედის ბოლოსათვის რაიონში სახელმწიფო ტყესაცავი და საკოლმეურნეო მინდორსაცავი ზოლები 414 ჰექტარზე უნდა გაშენდეს. სანერგე მასალის უზრუნველსაყოფად წელს რაიონის სატყეო მეურნეობის სანერგეში გამოყვანილია 4.850 ათას ძირზე მეტი წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის ნერგი, მათ შორის ფიჭვი, თუთა, ვერხვი, აკაცია, იფანი, ნეკერჩხალი, თელა, კაკალი, წაბლი, ნაძვი და სხვა ჯიშები.

კარგად გაიხარა გაზაფხულზე გაშენებულმა 16 ჰექტარმა სახელმწიფო სატყეო ზოლმა, ხაშური-ქვიშხეთის გზატკეცილის ორივე მხარეს დარგულმა მაღალტანიანმა შავმა ფიჭვმა.

ტყის გაშენების საშვილიშვილო საქმეში სატყეო მეურნეობის მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სარემონტო-ტექნიკური სადგურის, ქვიშხეთის მესაქონლეობა-მბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, სურამის მექანიზაციის სასწავლებლის კოლექტივებმა.

ამერიკელ მსახიობთა პირველი სპექტაკლი

საქართველოს დედაქალაქის საბალეტო ხელოვნების მრავალი მოყვარული, ბალეტის ცნობილი ოსტატები მოვიდნენ 20 სექტემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ამერიკული ბალეტის თეატრის სპექტაკლზე დასასწრებად. თითქმის სამსაათიანი წარმოდგენის მსვლელობაში მაყურებლებმა ნახეს რუსი, ავსტრიელი და თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორების ნაწარმოებნი. ოუდიტორიამ გულთბილად მიიღო ჩაიკოვსკის მუსიკის მიხედვით შექმნილი ჯორჯ ბალანჩინის ბალეტი „თემა ვარიაციებით“, კომპოზიტორ აარონ კოპლენდის „როდეო“, „პა-დე-დე“ ბალეტ „გედების ტბის“ მესამე მოქმედებიდან და იოჰან შტრაუსის „გამოსასვლელი ბალი“.

თბილისელებმა მჭუხარე ტაშით დაალდოვეს სპექტაკლს მონაწილენი — ამერიკული ბალეტის თეატრის სოლისტები მარიამ ტოლჩიფი, ერიკ ბრუნი, ლიუკ სერანო, როის ფერნანდესი, აგრეთვე სოლისტი-მეგიოლინე იან ტომასოვი.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში სიმფონიურ ორკესტრს დიდი ოსტატობით ხელმძღვანელობდნენ ამერიკელი დირიჟორები კენეტ შერმერჰორნი და იური კრასნოპოლსკი.

ამერიკული ბალეტის თეატრის, რომელსაც ხელმძღვანელობენ ლიუჩია ჩეიზი და ოლივერ სმიტი, პირველი შეხვედრა თბილისელ მაყურებლებთან მეტისმეტად სასიამოვნო იყო. ამერიკის შეერთებული შტატების მოცეკვავეებს ცოცხალ ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯაფარიძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, აგრეთვე რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ა. კაიროვი. (საკდესი).

ᲪᲘᲒᲣᲚᲘ. 115-120 პროცენტით ასრულებენ ცვლის ნორმის გამომუშავებას ლენინის სახელობის ქვანახშირის შახტის მეშახტეები, რომლებსაც ბრიგადირი გრიგოლ ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის თვითეული წევრი უოველდღიურად გეგმის გადამეტებით 2 ტონა ქვანახშირს იძლევა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის ლენინის სახელობის ქვანახშირის შახტის მნგრეველთა ბრიგადირი გ. ბუცხრიკიძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

 პარტიულ თემაზე

ჩვენს პროპაგანდისტთან სწავლა არ მოგვწყინდება

ყოველ დილით, როცა მთებსა და მინდვრებში სიცოცხლე იღვიძებს, საამქროს ნათელ დარბაზში თავს იყრიან ჩვენი მეგობარი ბოგონები, ისმის სიცილი, მხიარული გადაძახილი, ხუმრობა, ცოტა ხანიც, და დარბაზში სიჩუმე ისადგურებს. რიგრიგობით ჩამწკრივებულ დაზგებთან ჩამჯდარნი იწყებენ ფუსფუსს. მათი ოსტატური ხელებით იბადება ახალი ქართული ხალიჩები, ხოლო კეთილშობილურ შრომაში — ახალი ადამიანი, რომლის ცხოვრების მთავარი მიზანია იშრომოს და იცხოვროს ახლებურად, კომუნისტურად.

ხალიჩების საამქროს დიდი ისტორია არა აქვს, მაგრამ ჩვენ უკვე ვგრძნობთ, როგორ შეიცვალნენ ჩვენი ამხანაგები, ისინი ახლა გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, ვიდრე წინათ. ორიოდე წლის წინათ საამქროში ცოტა როდი იყო სამუშაოს გაცდენისა და დაგვიანების უხარისხოდ შესრულების ფაქტები, ახლა ასეთი რამ ჩვენთან საგანგებო შემთხვევად ითვლება.

ეს დრო, როცა იამზე ცილიკაშვილის მუშაობის ტემპს კუს ნაბიჯს ადარებდნენ, ახლა მისი გვარი მოწინავეთა შორის წერია. იამზე კარგი საზოგადოებრივი მუშაკიც არის. ყველაფერი ეს თავისთავად არ მოსულა. ახალგაზრდების აღზრდაში დიდი როლი შეასრულეს კომკავშირულმა ორგანიზაციამ, საამქროს მთელმა კოლექტივმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელმა წრემ, რომელშიც 26 ქალიშვილია გაერთიანებული.

ეს წრე ერთი წლის წინათ შეიქმნა და მის ხელმძღვანელად ახალგაზრდა პროპაგანდისტი ავთანდილ პაპაიური დაამტკიცეს.

დიდხანს გვეხსომება წრის პირველი მეცადინეობა. ეს ხომ პირველი გაუბედავი ნაბიჯი იყო. ეტყობოდა ბევრი ემუშავა თავისთავზე ავთანდილს და, მიუხედავად ერთგვარი მღელვარებისა, პირველი მეცადინეობა მაინც საინტერესო და მომზიდველი გამოდგა. ეს ცოტას როდი



ნიშნავდა. დააინტერესო მსმენელები — მთავარია პროპაგანდისტის მოღვაწეობაში.

მშობლიური კომუნისტური პარტიის სახელოვანი ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე რომ მოგვითხრობს, პროპაგანდისტი ყოველთვის ცდილობს წარსულის ამბები დაუკავშიროს დღევანდელობას, ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს.

რუსეთში მარქსიზმის რევიზიისა და ეკონომიზმის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის ბრძოლას რომ ვსწავლობდით, არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო თანამედროვე რევიზიონიზმისათვის. წრის მსმენელებმა ი. ცილიკიშვილმა, ლ. მთვარელიშვილმა, ე. სისაურმა და სხვებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ოუგოსლავიელი რევიზიონისტების, აგრეთვე საფრანგეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტების შესახებ, რომლებიც ღალატობენ მუშათა კლასს.

პროპაგანდისტმა ვრცლად ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი როლი შეასრულეს სკკპ მეოცე და ოცდამეერთე ყრილობებმა რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მიზეზებს რომ ვსწავლობდით, პროპაგანდისტმა საინტერესო ფაქტებით გაამდიდრა მოცემული თემა. მიმზიდველად მოგვითხრო სამამულო ომის გმირების — კოსანდონელების, ზოია კოსმოდემიანსკაიას, ზოია რუხაძის, შოთა გამცემლიძისა და სხვათა შესახებ.

ავთანდილ პაპაიური პროფესიით პედაგოგია. მას უნარი შესწევს ცოცხლად და საინტერესოდ გადასცეს თემის ძირითადი, საკვანძო საკითხები, თანმიმდევრობით გამოიყენოს მდიდარი ფაქტიური მასალა.

პროპაგანდისტის ენა ხატოვანი და მიმზიდველია. საუბარში იგი ხშირად იყენებს ხალხურ თქმებს, ანდაზებს, საერთოდ იგრძნობა, რომ იგი ბევრს კითხულა. იმდიდრებს ცოდნას, ცდილობს, რომ წრის თვითეული მეცადინეობა ნამდვილად იყოს მსმენელთა გონებრივი და სულიერი გამდიდრების წყარო. მიღებული ცოდნის გაღრმავების მიზნით, სასწავლო წლის განმავლობაში ჩვენ კოლექტიურად დავათვალიერეთ ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი გორში, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც გამოფენილია 1918 წელს მენშევიკების წინააღმდეგ დუშეთის მაზრის გლეხთა რეგოლუციური აჯანყების მდიდარი მასალები.

ჩვენი პროპაგანდისტი აქტიურად მონაწილეობს საწარმოს ცხოვრებაში, ახლოს იცნობს საამქროს თითქმის ყველა მუშას, აინტერესებს მათი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. ამას კარგად გრძნობენ მსმენელები და ამიტომაც სტუმრად მოსულ პროპაგანდისტისა.

წრის ერთ-ერთ მეცადინეობაზე პარტიის ოცდამეერთე ყრილობის მასალების მიხედვით საბჭოთა სახელმწიფოს როლის საკითხებზე ვმსჯელობდით ინ ქეროდ მისი ფუნქციების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის თანდათანობით გადაცემის შესახებაც ვსაუბრობდით.

პროპაგანდისტმა შენიშნა, რომ მრავალი პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია უშუალოდ ჩვენზე, საამქროს მუშებზე, კომკავშირელებზე და ჩვენი წრის წევრებზე.

სწორედ მაშინ წარმოიშვა აზრი, რომ ჩვენი საამქროს ახალგაზრდობა სათავეში ჩასდგომოდა ქალაქ დუშეთის სახიმუშო სანიტარული წესრიგის შექმნას.

მალე ეს აზრი სინამდვილედ იქცა. ჩვენ მოწოდებით მივმართეთ ქალაქის ახალგაზრდობას. ამან მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. ქალაქში თანდათანობით მყარდება სანიმუშო სისუფთავე. ახლა დუშეთში ყოველდღე შეხვდებით ახალგაზრდებს, რომლებსაც მკლავზე სპეციალური ნიშანი აქვთ, ისინი თვალყურს ადევნებენ სანიტარულ წესრიგს.

ასე იზრდებიან ჩვენთან ახალგაზრდები.

მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენთვის აუცილებელია ბევრი ვიცოდეთ, მეტი ვისწავლოთ, რათა ვიყოთ აქტიური მონაწილენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისა. ამიტომაც გადავწყვიტეთ მომდინარე წელსაც გავაგრძელოთ სწავლა სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეში... ჩვენს პროპაგანდისტთან კი სწავლა არ მოგვწყინდება.

ვ. ზარიძე, ლ. ბიკაიძე,
ნ. ღარიბაშვილი,
დუშეთის ხალიჩების საამქროს მუშები, სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრის მსმენელები.

კვლავ ძველებურად... რატომ?!

პარტიულ კრებაზე მხოლოდ ერთ ფაქტს ჩასჯიდეს ხელი — წრეებში მეცადინეობის ჩაშლას ადგილი არ ჰქონიაო, როგორც მომხსენებელს, პარტიუროს მდივანს შ. გოდუაძეს, ისე მოკამათეებს არაფერი უთქვამთ პოლიტიკურ სწავლებაში არსებულ ჯერ კიდევ ბევრ ნაკლსა და შეცდომაზე.

შეცდომები კი უდავოდ იყო. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ სკკპ ისტორიისა და შემდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში გაერთიანებული 52 კაცდან უპარტიოთა რაოდენობა მხოლოდ 5 კაცს შეადგენდა. წრეები უზრუნველყოფილი არ იყო სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინოებათი, ამასთან სტაყვიერ პროპაგანდას აკლდა მიზანსწრაფულობა, კონკრეტულობა, პრაქტიკაში არ იყო გამოყენებული კითხვა-პასუხის და თემატური საღამოები, თეორიული კონფერენციები.

უნდა გვეფიქრნა, რომ პარტიული ორგანიზაცია აქედან სათანადო დასკვნებს გააკეთებდა, ახალი სასწავლო წლისათვის მაინც იზრუნებდა პროპაგანდის ფორგლების გაფართოებაზე, მის მასობრიობაზე.

სამწუხაროდ, გასული სასწავლო წლის შეცდომებს ახლაც იმეორებენ. პარტბიუროს მდივანს ხელთა აქვს და პარტიის რაიკომშიც წარდგენილია წრეების ხელახლა დაკომპლექტების მასალები.

რა არის ახალი ამ მასალებში? — მხოლოდ ის, რომ სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეში უპარტიოთა რაოდენობა ერთი კაცით გადიდდა, სამგიეროდ მომდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეში 30 კომუნისტი ჩაბეს და არც ერთი უპარტიო აქტივისტი ან კომკავშირელი არ გაერთიანეს.

თუმცა პარტიული განათლების ქსელში უპარტიოთა ფართოდ ჩაბმაზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა ასეთ მსგავ პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც 85 კომუნისტია, თითქმის ნახევარს — 38 კომუნისტს, სხვადასხვა მიზეზებით „არ შეხებიო“ პოლიტიკური სწავლებაზ?!.

ყველაზე საგალალო კი ის არის, რომ წრეებს დაკომპლექტება ხელადვილით, მსმენელთა უკითხავად, მათი სურვილისა და ცოდნის დონის გვერდის ავლით მოახდინეს. სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეში უპარტიოთა რიცხვი რომ გაედიდებინთ, მათთან მოუთათბირებლად სიაში „ჩაწერეს“ დაბალი განათლების მქონე ჭ. თუთბერიძე, გ. ვაჩიბერაძე და უმაღლესი განათლების მქონე ექიმი ა. ძოძუაშვილი.

ამავე სოფლის შვიდწლიანი სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან უკვე დაკომპლექტებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სემინარი. აქ გაერთიანებულ მასწავლებლები ნ. ნარჩემაშვილი და ვ. გუბელაძე, რომლებიც ამავე დროს პარტიული განათლების წრეების პროპაგანდისტებად არიან გამოყოფილი (!). კომუნისტი მასწავლებელი ნ. ნარჩემაშვილი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტად შეურჩევია, თვითონ პროპაგანდისტმა ეს არ იცოდა.

და ასე, არც მსმენელთა ნაწილმა იცის, საერთოდ იმეცადინებს თუ არა რომელიმე წრეში, და არც პროპაგანდისტმა იცის, უხელმძღვანელებს თუ არა იგი რომელიმე წრეს...

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის წინ ასეთი მდგომარეობა უთუოდ დამფიქრებელია.

რას ფიქრობენ ყოველივე ამის შესახებ პარტიის წყალტუბოს რაიკომში? ან რა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით გადაეტვირთა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება?

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

რაციონალიზატორთა თაოსნობით

ჟუთაისის საავტომობილო ქარხანაში შეიქმნა მოწინავე რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადა 10 კაცის შემადგენლობით. მას ხელმძღვანელობს სექციონერი ამწყობი საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი იოსებ ბაზარაძე. ბრიგადის წევრებმა იკისრეს ვალდებულება მიმდინარე წელს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ ერთი მილიონი მანეთი, მათი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ უკვე მისცა საწარმოს 0,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

სკკპ ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მასუხად ბრიგადის წევრებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს. მათ გადაწყვიტეს შვიდწლედის მანძილზე შეიტანონ იმდენი რაციონალიზატორული წინადადება, რაც წარმოებას შვიდწლედის ბოლოსათვის მისცემს 10 მილიონ მანეთ ეკონომიას — ერთ მილიონ მანეთ ეკონომიას თვითეულ წევრზე. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



ᲖᲦᲕᲘᲡ პირას გაშენებული სოფელი ხეივანი მართლაც და ხეივანს ჰგავს. მისი ყოველი ქუჩა, ყოველი კუთხე, ყოველი ეზო მარადმწვანე კვიპაროსებით, ნაძვებით, ციტრუსებით, ვაზით, ხეხილით არის დამშვენებული. მშვენიერია ხეივანი, მაგრამ თუ სოფელი მშვენიერია, ადამიანებიც მშვენიერნი უნდა იყონ. სოფელს მარტო ბუნება არ ამშვენებს. პირველ რიგში მას ადამიანები ამშვენებენ და ამშვენიერებენ...

ხეივანი იმდენად ახალგაზრდა სოფელია, რომ არავის არ უნახავს იქ დაბადებული ბავშვი პაპა გამხდარიყოს, რომელსაც შუაცეცხლთან შემომსხდარი შვილიშვილებისათვის სოფლის თავგადასავალი ეამბნოს. აქ მამა-პაპანიც, შვილებიც და შვილიშვილებიც სულ რაღაც ოცდაათი წლის წინათ ჩამოვიდნენ.

მაშინ ხეივნის მიდამოები ტყით იყო დაფარული. მუხნარსა და წიფლნარში ეკალბარდებსა და ჭაობებს დაესადგურა. მაგრამ კავკასიონის ბოლო განშტოებას — გაგრის ქედს, რომელიც შავ ზღვასთან არის მიშდგარი, მცენარეულობით და მსუყე ბალახით დაფარული ისეთი მდიდარი კალთები აქვს, რომ ზამთარშიც კი მოდიოდნენ აქ განთქმული წალენჯიხელი მეჯოგეები, რომლებმაც ამ ტყეებში პირველი ნაღვერდალი გააჩაღეს და პირველ კერაზე პირველი ცეცხლიც დაანთეს.

ოცდაათიან წლებში კი ასობით სახლი აშენდა. ჩამოვიდნენ კოლმეურნენი ლეჩხუმიდან, გეგეჭკორის რაიონიდან, შემდეგ მათ შეუერთდნენ სოჭის რაიონის სოფელ პლასტუნკის ქართველი მოსახლენი სვანიძეები, ფრუიძეები, ირემაძეები და უჩაძეები.

ახლა სოფელი ისე ფართოდ გადაიშალა, რომ ათას ხუთას კომლს იტევს. მას ერთი მხრივ აკრავს სოფელი განთიადი, მეორე მხრივ — ლესელიძე, აღმოსავლეთით კი — სოფელი წალკოტი, რომელიც კიდევაც შეუერთდა ხეივანს.

და აი, ლეჩხუმელმა და გეგეჭკორელმა კოლმეურნეებმა თან მოიტანეს ვაზი, ჩაყარეს იგი და ამ ძვირფასმა კულტურამ ზღვის პირას გაფურჩქვნა დაიწყო.



ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობამ წელს 420 ჰექტარი სიმინდი დათესა, აქედან 260 ჰექტარი სილოსისათვის. ამჟამად არტელის მექანიზატორები გაცხოველებით აწარმოებენ სიმინდის მწვანე მასის აღებას. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ტრაქტორისტი შოთა ლოქაფიშვილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ტრაქტორისტი შ. ლოქაფიშვილი, ქვემოთ — სიმინდის მწვანე მასის აღება რუისპირის კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲛᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

აზერგაიჯანელ და ქართველ მეჩაიეთა შეჯიბრება

ლენინორანის რაიონის სოფელ გირდანისა და ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მეგობრობა ჯერ კიდევ 1950 წელს დაიწყო. ამ წელს ახალსოფლელმა ახალგაზრდა მეჩაიეებმა გირდანელ ახალგაზრდა მეჩაიეებს მიმართეს წინადადებით — ჩაბმულიყვნენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აზერბაიჯანელმა მეჩაიეებმა მოიწონეს ახალსოფლელთა თაოსნობა და თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს საქართველოში. სტუმრები რამდენიმე დღეს დარჩნენ მეგობრებთან.

პირველად სოციალისტური შეჯიბრება გაფორმდა ორ რგოლს შორის — სოციალისტური შრომის გმირის ვალენტინა ჯოჯუასა და გირდანის გზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ხალიდა ნაზაროვას რგოლებს შორის.

პირველად თუ ორ კომკავშირულ რგოლს შორის დაიდო შეჯიბრების ხელშეკრულება, შემდეგ ახალსოფელსა და გირდანს შორის მეგობრობა უფრო განმტკიცდა. მაგრამ უკანასკნელ წლებში ლენინორანელ და ზუგდიდელ ახალგაზრდა მეჩაიეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას რატომღაც საჭირო ყურადღება აღარ მიქცევია.

ამ დღეებში ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა წერილი გაუგზავნეს ლენინორანელ ახალგაზრდებს. მათ თავიანთ კოლეგებს აცნობეს, რომ წელს რაიონის მეჩაიეები 17,930 ტონა ჩაის ნაცვლად მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩაბარებენ 19.300 ტონას.

ზუგდიდიდან ტელეფონით დავუკავშირდით ლენინორანს. ტელეფონთან მოვიდა კომკავშირის ლენინორანის რაიკომის პირველი მდივანი ალბ. ჯემალ ახუნდოვი, რომელმაც განაცხადა:

— აღგვაფრთოვანა ცნობამ საქართველოში ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულების შესრულების შესახებ. ჩვენი რაიონის მეჩაიეები სიხარულით შეხვდნენ ზუგდიდელი მეგობრების წერილს და მათს საქმიან მომართვას ორი მოამე რესპუბლიკის ახალგაზრდებს შორის სოციალისტური შეჯიბრების აღდგენისა და განვრძობის შესახებ. მალე ლენინორანის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია ეწვევა ზუგდიდელებს, გაფორმებს მათთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

Ზ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ სპკ. კორესპონდენტი.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲐᲛᲝᲣᲓᲒᲜᲔᲜ

თბილისის სახერხი ჩარხების ქარხანაში წელიწადახევრის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი მკვეთრი ამაღლების თვის. ეს ქარხანა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩარხებისა და სხვა მოწყობილობის შეკეთება წარმოებდა, გადაიქცა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ დიდ საწარმოდ.

საამქროებში დაიდგა 5-ტონიანი და 10-ტონიანი ბიდური ამწეები, დაამონტაჟეს და წარმატებით მუშაობს მრავალი უნივერსალური და სპეციალური ჩარხი. მექანიკურ საამქროში მიმდინარეობს მუშაობა ხუთი ნაკადური ხაზის მოსაწყობად, სადაც განხორციელდება დეტალების მექანიკური დამუშავება.

ქარხნის კოლექტივმა აითვისა ჩარხების ზოგიერთი დეტალის კაპრონისა გან დამზადება. ამით საწარმოში 10-ჯერ შემცირდა შრომატევადობა და 5-ჯერ დეტალების ღირებულება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად წარმოებაში ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 3,3 პროცენტით. წარმოებამ ზეგეგმითი დაგროვება მიიღო და რესპუბლიკურ ფონდში 200 ათასი მანეთი შეიტანა.

წარმოებაში მრავალი ახალგაზრდა მუშაობს, მათ შორის უმრავლესობა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია. გამოცდილი ოსტატების დახმარებით ისინი მალე დაეუფლნენ სხვადასხვა პროფესიას, გვერდში ამოუდგნენ ოსტატებს და არ ჩამორჩებიან შრომაში, ხარისხიც საუკეთესო აქვთ. მოწინავეთა შორის პირველ რიგებში არიან მრანდავი ნოდარ არჩევაძე და მღარავი სერგო ქიტაიშვილი. ამ ახალგაზრდებმა ოსტატ იური საგანელიძის დახმარებით მალე შეითვისეს მრანდავისა და მღარავის პროფესია და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ, ახლა მათს ნახელავს ოსტატი წუნს ვეღარ დასდებს.

• • •

სურათზე: ოსტატი იური საგანელიძე (მარჯვნივ) ნოდარ არჩევაძეს (მარცხნივ) და სერგო ქიტაიშვილს აცნობს დეტალების ნაკადური მეთოდით დამუშავების ნახაზს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲝᲡᲬᲐᲤᲔᲑᲡ

აი რაზე სტკივათ გული

ჩვენს სოფელს **ცხრაწყაროს** ჰქვია, მდებარეობს ზესტაფონის რაიონში. ამას წინათ დიდი საქმე წამოგიწყეთ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, მოვიტანეთ მილები და გამოვიყვანეთ სასმელი წყალი. ერთი კვირა ონკანებში კამკამა წყაროს წყალი მოჩუხჩუხებდა. შემდეგ უცებ შეწყდა. მიზეზი რომ ვიკითხეთ, გვითხრეს: აუზი არ გვყოფნისო.

მას შემდეგ მილებიც გაფუჭდა და ონკანებსაც ხახა გაუშრათ. სამწუხაროა: ცხრაწყაროში ვცხოვრობთ და სოფელს ერთი წყაროც ვერ გამოგვიყვანია.

კოლმეურნეები ო. კოპაძე,
გ. წიგნოვაძე,
პ. შალამბერიძე.

სოფელ **ახალდაბაში** (გორის რაიონი) გვაქვს კლუბიცა და სამკითხველოც, მაგრამ მათი კარები მტვრილად გამოკეტილია. იღება მხოლოდ თვეში ერთხელ, როცა მაღლა მოისხამენ და კინოსურათს მოიტანენ.

ახალგაზრდობას წრეებში მუშაობა სწყურია, კონცერტებს მონატრებულია, მაგრამ მისთვის თავს ჯერ ერობით არავინ იწუხებს.

ნ. მურადაშვილი.

ახალი სოფელი (მცხეთის რაიონი) მხოლოდ ორი კილომეტრით არის დაშორებული სოფელ საგურამოს. ორივე სოფელი ერთ კოლმეურნეობაში ვართ გაერთიანებული, ამდენად ბევრი რამ გვაქვს საერთო — ყანები, ვენახები, ფერმები და, რაც მთავარია, შრომადღეები. მხოლოდ ელექტროგანათება განგვასხვავებს ერთმანეთისაგან. საგურამოში ილიჩის ნათურები კაშკაშებენ, ჩვენთან კი ნავთის ლამპები ბუტუტავენ. მხოლოდ მონდომებაა საჭირო, რომ ორ კილომეტრზე ბოძები ჩაიყაროს და სადენები გაიბას.

კოლმეურნე მ. ბიჩინაგაური.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად ფართოვდება საქართველოს შემნახველი სალაროების ქსელი.

ამ დღეებში ახალი შემნახველი სალაროები გაიხსნა თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, მეტალურგიულ და ცემენტის ქარხნებში, მარნეულის რაიონის სოფელ კასუმლოში, ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში, კურორტ წყალტუბოში, ბათუმის რაიონის სოფელ განთიადში და ბევრ სხვა მსგავლ საწარმოში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში.

წლის დამლევამდე რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კიდევ გაიხსნება ათობით ახალი შემნახველი სალაროა.

სოფლის სიმდიდრე — ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ცოლიკაურისა და ოჯალეშის ვენახები, შავქლიავის ბაღები, თამბაქოს პლანტაციები, სიმინდის ყანები ბარაქით ავსებს ხეივნელების ბელლებს, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო არა ბუნების სიმდიდრესა და მომხიბვლელობაზე, რაც საქართველოს თითქმის არც ერთ სოფელს არ აკლია, არამედ ადამიანთა სიმშვენიერეზე.

ლეჩხუმისა და გეგეჭკორის ქუჩების კუთხეში, ეკალეპტებითა და კვიპაროსებით დამშვენებულ ეზოში დგას კოლმეურნეობის კანტორა. მის ქვედა სართულში მოთავსებულია პატარა ბიბლიოთეკა ორი ათას ხუთასი წიგნით.

ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი სოფია ჩაკვეტაძე მუდამ ღიმილით ეგებება მკითხველებს. მას უხარია, როდესაც ვინმე წიგნის წასაღებად მოდის. ის მაშინვე აცქერდება გახსნილ თაროებს და ურჩევს მათ წიგნებს.

ამას წინათ მასთან მოვიდა კოლმეურნე დავით ხუროცლავა. იგი ჭარმაგი კაცია. ქართულიც კარგი იცის და რუსულიც.

— გამარჯობა, ჩემო სოფიო!

— სალამი, პატივცემულო დავით! წიგნი გნებავთ, არა?— შეეკითხა მისალმების შემდეგ სოფიო და შებრუნდა თაროსაკენ. თვალი გადაავლო წიგნებს, — მე თქვენ მოგართმევთ რომანს „ალაბანზე“, რა იტყვით?..

დავითი ღიმილით შესცქეროდა სოფიოს, აყოვნებდა, არ ამბობდა თავის სურვილს.

— კარგია, ბევრმა წაიკითხა, მოსწონთ.

— არა, სოფიო, ეგ წიგნი ალბათ მართლაც კარგია, მაგრამ მე სხვა რამე მინდა.

— რა?

— მე მჭირდება ენციკლოპედიის ოცდამეოთხე ტომი! — მიუგო და ხელი გაიშვირა იმ თაროსაკენ, რომელზეც ჩამწკრივებული იყო ოქროს ასოებით ამოტვიფრული შავყდიანი სქელი წიგნები...

ხშირად მიჰქონდა წიგნები მოხუც კოლმეურნეს სიმონ მუშკუდიანსაც. მაგრამ სოფიომ შეამჩნია, რომ მოხუცი მთელი თვის განმავლობაში აღარ გამოჩენილა.

„ნეტავი რა დაემართა პაპა სიმონს?“ — გაიფიქრა სოფიომ და მოიკითხა. ავად არისო, უთხრეს. შეწუხდა.

სოფიო იმავე დღეს წავიდა სახლში პაპა სიმონთან. თან წიგნი წაიღო.

მოხუცი იწვა. ძალზე გაეხარდა ბიბლიოთეკარი ქალის სტუმრობა, ღიმილით შეეგება, წამოდგომაც კი დააპირა.

— სადა ხართ, პაპა, რატომ აღარ მოდიხართ ჩვენთან?

— დავბერდი, შვილო, სიარული აღარ შემიძლია!

— მეც ამიტომ მოგიტანეთ წასაკითხად წიგნი.

სოფიოს უნდოდა გაემხნევებინა და გაეხარებინა პაპა სიმონი და წიგნი მიაწოდა.

მოხუცმა დახედა წიგნს და გაიღიმა.

ᲡᲝᲤᲘᲝ ყველას გულის მესაიდუმლეა. მან კარგად იცის, ვის რა იტაცებს, ვის რა აინტერესებს. ახალგაზრდაც ბევრი მოდის ლიტერატურის წასაკითხად. თუნდაც ზოია კვარაცხელია, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გოგონა. ანდა ციალა სვანიძე და ლამარა ბანძელაძე. ესენი თამბაქოს ფარდულებში მუშაობენ და მხატვრულ ლიტერატურასაც დიდი გატაცებით კითხულობენ.

არც კოლმეურნეობის თავმჯდომარე დგას განზე.

— რა მოგართვათ, დავით? — მოკრძალებით ეკითხება მას სოფიო.

— ახალი ხომ არაფერი მოგიტანია სოფლის მეურნეობის საკითხებზე?

სოფიო არჩევს შესაფერ წიგნს. თავმჯდომარე ელის. აბა, მაშ რა ქნას თავმჯდომარემ, ამ დარგის ლიტერატურა რომ არ წაიკითხოს, არ შეიძლება, ვეებერთელა მეურნეობა აბარია. გაძღოლა უნდა, გაძღოლას — ცოდნა. როგორ მოუაროს თამბაქოს პლანტაციებს, რომელიც წელიწადში ოთხ მილიონ მანეთ შემოსავალს იძლევა? ახლა ხილის ბაღები, ვენახები, სიმინდის ყანები, ფერმები?

დავით კუბალაშვილი სოფლის თავკაცია. რვა წელიწადია ხელმძღვანელობს ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. სოფელ გორდში დაიბადა, ფოლუკიძის რაიონში. ჭაბუკი მოვიდა შავი ზღვის პირას. განთიადის საშუალო სკოლა დაამთავრა. ამ დროს სამამულო ომიც დაიწყო. მეორე დღესვე მებრძოლთა რიგებში ჩადგა.



დამყარდა სანატერელი მშვიდობა და ჭარისკაცი სოფელში დაბრუნდა. სახლთან ხელში თავს დასტრიალებდა ვაზის სამამულე რქებს. დაუღალავი შრომა, საქმის სიყვარული; მერე ხალხის სიყვარული და ანა ერთ, მსგავლ კოლმეურნეობად გაერთიანებულ ორ სოფელს — ხეივანსა და წალკოტს ხელმძღვანელობს. და რა უჭირს დავით კუბალაშვილს, მას ხომ ვაუკაცები ახვევია ირგვლივ, სოციალისტური შრომის გმირები!..

აი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პროკოფი სვანიძე, რომელმაც აქ პირველმა მოიყვანა თამბაქოს ორი მოსავალი. როგორ? იმ ხანებში ეს ნამდვილი გამომგონებლობა იყო. პროკოფიმ თვითეულ ჰექტარზე თერთმეტი ცენტნერი თამბაქოს ნაცვლად ოცდაცხრა ცენტნერი მიიღო. მეორე წელს ცოტა-ოდენ მცირე იყო მოსავალი და ლენინის ორდენი მიაკუთვნეს, მაგრამ მესამე წელს გაიმეორა პირველი წარმატება და მეორედ მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

წარმატებით მუშაობენ სოციალისტური შრომის გმირები მიხეილ ჭიჭაღუა, სამუელ რუხაია, აზგენ ტერზიანი. კაკუშა წულაია, ნინო ხელაია, გეგმებს სამაგალითოდ ასრულებენ ისინი, მაგრამ განა მარტო ეს არის თავმჯდომარის საზრუნავი?

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს ორმოცი წელი, ახალ საქართველოზე უფრო ახალგაზრდა სოფელს ბევრი რამე აქვს გასაკეთებელი ამ დღესასწაულის შესახვედრად.

კარგია, როდესაც მთელ საქართველოში ყველაზე მაღალი სიტკბოს ყურძენს მიიღებ და ამ მხრივ პირველ ადგილს დაიკავებ, ისიც კარგია, როდესაც 150 ტონა თამბაქოს ნაცვლად 170 ტონას ჩაბარებ, მაგრამ ადამიანს ცხოვრების მეორე მხარეც აქვს.

ხადღესასწაულო თებერვლისათვის კულტურის სახლი უნდა აშენდეს, მაშინ ბიბლიოთეკაც იმ შენობაში გადავა. და სოფიო ჩაკვეტაძე იქ თავისი წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით, რომლებიც დღეს ძლივს ეტევა ორ პატარა ოთახში, ლაღად იგრძნობს თავს. შენდება ხიდი მდინარე ლაფსტაზე, რომელიც შეაერთებს სოფლების სამუშაო უბნებს.

შრომა და მოლხენა ერთმანეთს ავსებენ. ხეივნელებს შრომის სარბიელი დიდი აქვთ, მოსალხენად კი ამ რამდენიმე თვის წინათ საკოლმეურნეო ანსამბლი ჩამოაყალიბეს. ქართველი კაცისათვის სიმღერისა და ცეკვის ნიჭი ბუნებას არ შეუზღუდავს, ამიტომაც სამოცი კაცი გაერ

ეს რა იპყრობს მსოფლიოს ყურადღებას

★ ★ ★ ★

ხალხებს სურთ მსოფლიო პიარაღოდ

...ოფლიო საზოგადოებრიობის ყუ...ებას მიპყრობილია გაერთიანებული ...ს ორგანიზაციის გენერალური ასა...ის XV სესიისადმი, რომელიც 20 ...ტემბერს იხსნება. საზღვარგარეთის ...ი დაწერილებით იძლევა ინფორმა...ს სესიაზე ევროპის, აზიის, აფრიკის ...ქვეყნათა და მთავრობათა მეთაუ...ს ჩასვლის შესახებ.

...ანაში დაახლოებით 40 ქვეყნის ხელ...ანელთა მონაწილეობის შედეგად, ...ნავს პოლონეთის გაზეთი „ძენიკ ...ოვი“, იგი უმაღლეს დონეზე შეხვე...ებ იქცევა, მიუხედავად შეერთებული ...ტების წინააღმდეგობისა. გაერთიანე...ი ერების ორგანიზაციის გენერალუ...ასამბლეის XV სესია, განაგრძობს გა...ი, ბევრი მხრივ განირჩევა წინანდე...სესიებისაგან. იგი ასახავს მსოფლი...მომხდარ ცვლილებებსა და ამბებს. ...ეძლება გახდეს ერთ-ერთი დიდ...ნელოვანი საერთაშორისო შეხვედ...ანასწინელ წლებში, არსებითად მო...ნს გავლენა საერთაშორისო მდგო...ობის შემდგომ განვითარებაზე, თვით ...თიანებული ერების ორგანიზაციის ...ს ამაღლებაზე.

...ბინის დემოკრატიული რესპუბ...ს საზოგადოებრიობას იმედი აქვს ...თიანებული ერების ორგანიზაციის ...ალური ასამბლეის სესიის მუშაო...წარმატებისა, რომელზეც „განიხილა...თანამედროეობის უმნიშვნელოვა...ი პრობლემას — საყოველთაო და ...ი განიარაღების საკითხს. რესპუბ...ს მშრომელები მხურვალედ იწონე...სესიის მუშაობაში სოციალისტური ...ყანების სახელმწიფოების თავგრობათა ...ერების მონაწილეობას, რომლებიც ...ფვიან გადაჭრან აქტუალური თანა...ვი პრობლემები. მოწონავე სტა...ი „№ 1 მსოფლიო პრობლემა“ გა...ი „დერ მორგენი“ რწმენას გამო...ს, რომ გაერთიანებული ერების ...ნიაციის გენერალური ასამბლეის ...სესია გვიჩვენებს, თუ რა დიდი ...ლებანი მოხდა გაერთიანებული ...ების ორგანიზაციის 15 წლის ისტო...ში, როგორ განმტკიცდნენ მშვიდო...ი დემოკრატიისა და სოციალური ...ოგრესის ძალები, როგორ ხდება მსო...ი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ...ტორი სოციალისტური მსოფლიოს ...ტემა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ...ძღვანელობს.

...ინბლსანის სახელობის ულან-ბატო...სახელმწიფო უნივერსიტეტის რექ...ტმა ნ. სოდნომმა საკდესის კორესპონ...ტთან საუბარში განაცხადა, რომ გა...ანებული ერების ორგანიზაციის გე...ალური ასამბლეის XV სესიის მუშაო...ბა ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობა ...ნებს გულში უნერგავს ბევრი იმ ...მნიშვნელოვანი პრობლემის წარმა...ით გადაჭრის იმედს, რომლებიც ...ბრიობას აღელვებენ. მონღოლი მე...ერები, მონღოლეთის სახალხო რეს...ლიკის მთელი ინტელიგენცია, განაც...ა მან, გულისწყრომით გმობენ ამერი...შეერთებული შტატების მმართველი ...ების უღირს ცდას ხელი შეუშალონ ...ოთა დელეგაციასა და პირადად ნ. ს. ...ჩოვს ნაყოფიერად იმუშაონ მთელი ...ბრიობისათვის სასიცოცხლოდ დიდ...ნელოვანეს საკითხის — საყოველ...ოო და სრული განიარაღების საკითხის ...ერი გადაჭრის ინტერესებისათვის. და...ენებული ვართ, რომ ჩვენს აღშფო...ას ამერიკის მმართველი წრეების უღ...ი ხრიკების გამო საესებით იზიარებს ...ლა პატიოსანი ადამიანი, რადგან ნ. ს. ...უშჩოვი არის მსოფლიოს ყველა მშვი...ებისმოყვარე ძალთა აზრის გამომხატ...ელი. ამიტომ ყველა ადამიანი დედამიწა...ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ჩვე...ან ერთად უსურვებს წარმატებას ნ. ს. ...უშჩოვს.

...ინდოელი ხალხი, ისე როგორც მსოფ...ის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ...ედგენებს, რომ გაერთიანებული ერე...ს ორგანიზაციის გენერალური ასამბ...ის XV სესიაზე, ბოლოს, გადაიჭრება ...ნამედროვეობის ისეთი უმნიშვნელოვა...ი პრობლემები, როგორიც არის განია...ება და ატომური და თერმოატომგუ...ის იარაღის აკრძალვა. ინდოეთის ყო...ელკვირეული „ინდია“ სარედაქციო სტა...ში წერს: „საბჭოთა კავშირის პრემი...მინისტრის ნიკიტა ხრუშჩოვის გადა...ეტილებამ წასულიყო გაერთიანებუ...ი ერების ორგანიზაციის გენერალური ...ასამბლეის მომავალ სესიაზე თავისი ქვე...ის დელეგაციის მეთაურად, დასაბამი ...ცა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძა...ების განმტკიცებისათვის ახალი მოძრა...ის განვითარებას.

...ინგლისური პრესა კვლავ მოითხოვს ...ამილანისაგან, რომ მიბაძოს ნ. ს. ხრუ...ოვს მაგალითს და სათავეში ჩაუდგეს ...ბლისის დელეგაციას გენერალური ასა...ლეის სესიაზე, ამასთან დაკავშირებით ...ბეთი „დეილი მირორი“ ხაზგასმით აღ...ნიშნავს, რომ საჭიროა ასეთი ნაბიჯი გა...ადგას პრემიერ-მინისტრმა, რათა დაამ...ტკიცოს, რომ ინგლისი სავსებით უჭერს ...მხარს გაერთიანებული ერების ორგანი...ზაციას, მე ახლა უფრო დარწმუნებული ...ვარ, ვიდრე ოდესმე, რომ მაკმილანმა ერ...თი წუთიც არ უნდა დაკოყოვნოს იმის გა...დასაწყვეტად, რომ მონაწილეობა მიიღოს ...ამ დიდმნიშვნელოვან შეხვედრაში“, — ...აცხადებს გაზეთ „დეილი ექსპრესის“ ...კორესპონდენტი რენე მაკოლი.

...მთელი მსოფლიოს თვალი და იმედი ...მიპყრობილია გაერთიანებული ერების ...ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა...დმი, — წერს დღეს ინდოეთის ყოველ...ქვირეული „ნიუ-ეიჯი“. — საბჭოთა პრე...მიერ-მინისტრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა ...სოციალისტური ქვეყნების მეთაურებმა ...გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ უჩვენონ ...კონფლიქტებისა და ცივი ომის ტევრიდან ...გონივრული გამოსავალი. (საკდესი).

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. საკდე...სის კორესპონდენტი **გ. ვასილიევი** იუ...წყება: ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა და ...გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ...გენერალური ასამბლეის XV სესია, რო...მელიც დღეს იხსნება, — ნიუ-იორკის ...გაზეთების ცენტრალური თემაა. „ნიუ...იორკ ტაიმსმა“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ...ტრიბუნმა“ რამდენიმე გვერდი თითქმის ...მთლიანად დაუთმეს იმ მასალებს, რომ...ლებიც ეძღვნება ტურბოელექტრომავალ ...„ბალტიკით“ ნიუ-იორკში საბჭოთა კავ...შირის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგა...რეთის, უკრაინისა და ბელორუსიის სს ...რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურე...ბის ჩამოსვლას. ამავე მოვლენას ეძღვნე...ბა ვრცელი რეპორტაჟები, სტატიები და ...უამრავი ფოტოსურათი. გაზეთები აქვე...ყნებენ ნიუ-იორკში ჩამოსვლის დროს ...ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებული განც...ხადების დაწვრილებით შინაარსს, „ნიუ...იორკ ტაიმსმა“ დაბეჭდა ამ განცხადების ...სრული ტექსტი.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირების მიერ გამოცხადებული საბჭოთა მთავრობის მეთაურის ისტორიული მისიის უგულვებელყოფისა და მიჩქმალვის გეგმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვერ უძლებს ცხოვრების გამოცდას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულმა წრეებმა, რომლებიც გამოდიან ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის წინააღმდეგ, უკანასკნელ დროს გააჩაღეს მყვირალა ანტისაბჭოთა კომპანია, გაზეთებს, რადიოსა და ტელევიზიას აღარ ძალუძთ, ანგარიში არ გაუწიონ ამერიკის საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობისადმი იმ სესიის მუშაობაში, რომელიც დღეს იხსნება. პრესა დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო იმ ვარაუდებს, თუ რა ახალ „დრამატულ“ წინადადებებს განიარაღების შესახებ წამოაყენებს საბჭოთა მთავრობის მეთაური, არამედ დიდ ადგილს უთმობს პირადი ხასიათის დეტალებსაც. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იუწყებიან, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა ზღვით მგზავრობა გადაიტანა „როგორც ნამდვილმა მეზღვაურმა“, აღნიშნავენ, რომ ამ მოგზაურობის დროს მას მზე მოეკიდა და რომ იგი, როგორც ყოველთვის, ენერგიით აღსავსეა.

იმ პირობებში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წრეებმა უკანონო შეზღუდვები დააწესეს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მიმოსვლაზე და აშკარად აქეზებენ ხულიგნური გამოსტომებისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გარეკილ გარეწრებს, ამერიკის გაზეთების მიმომხილველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების მტკიცე, მაგრამ მშვიდმა ტონმა. „სრულიადაც არ ყოფილა იმის ნიშანი, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი სოლსბერი, — რომ მოწყენილმა წვიმიანმა ამინდმა და ოფიციალური ამერიკის გულცივობამ დაარღვია პრემიერის კარგი სულიერი განწყობილება“. სოლსბერი ხრუშჩოვის სიტყვიდან გამოჰყოფს იმ სიტყვებს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ემზადება არა საპარადო გამოსვლისათვის, არამედ ასამბლეის მუშაობაში ნამდვილად კონსტრუქციული მონაწილეობისათვის, მაშინ საბჭოთა კავშირი მიესალმება ასეთ გადაწყვეტილებას. საბჭოთა ხელმძღვანელის დევიზი, აცხადებს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, იყო: „უკეთესი დრო დადგება“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმხილველი ჰიგინსი აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის „შედარებით თავშეკავებულ“ ტონს. ჰიგინსი საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადებაში გამოჰყოფს იმ სიტყვებს, რომ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, რათა ყველა ქვეყანამ, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა, გაიგონ, რომ საჭიროა განიარაღების საკითხი გადაიჭრას მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. სარედაქციო სტატიაში „ხრუშჩოვი ნიუ-იორკში“ გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს, რომ „გუშინ, ისე რომ დრო არ დაუკარგავს, ხრუშჩოვმა დაიწყო კამპანია, რათა დაიმორჩილოს ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი“.

ამერიკის საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით ეგებება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაღალი ხელმძღვანელები და ის მიმომხილველები და პრესის ორგანოები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებით ცდილობდნენ დაემცირებინათ სესიის მნიშვნელობა, ახლა იძულებული არიან აღიარონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო მოვლენა. გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“ წერს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია „მოსალოდნელია გადაიქცეს ჩვენი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო თათბირად“. ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამოსვლები გენერალურ ასამბლეაში, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსის კორესპონდენტი კეტლინ ტელჩი, „მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს“.

ჰელსინკი, 20 სექტემბერი. (საკდესი). ყველა ფინური გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს ცნობებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ჩავიდა ნიუ-იორკს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, და ამავე დროს გამოჰყოფს მის სიტყვებს, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღების შესახებ.

„მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, — წერს გაზეთი „კანსან უუტისეტი“, — ჩაშალეს უმაღლესი დონის პარიზის თათბირი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, საბჭოთა კავშირის სპასუხო ნაბიჯი — პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვის ჩასვლა ნიუ-იორკს საბჭოთა დელეგაციის მეთაურად — ლოგიკური გაგრძელებაა საბჭოთა კავშირის გაბედული, დაბრკოლებათა დასაძლევად შარმარი, თანამიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკისა“, ხრუშჩოვი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ჩადის განიარაღების ვრცელი პროგრამით, მას თან მიჰყვება უდიდესი საერთაშორისო მხარდაჭერა და ავტორიტეტი, რომელთა განმტკიცებას საბჭოთა კავშირი განაგრძობდა თავისი პოლიტიკით უკანასკნელ წლებში.

მცირე ხალხები, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ხუვუდსტატსბლადეტი“, გენერალური ასამბლეის სესიასთან დაკავშირებით იმედს გამოთქვამენ, რომ აღმოიფხვრება უთანხმოება, შენელდება დაძაბულობა და მიღწეულ იქნება თანამშრომლობა.

ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამოსვლები გენერალურ ასამბლეაში მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს

განიარაღება — № 1 მსოფლიო პროგლემა

სამშვიდობო პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება

ნატოს მანევრები

ლონდონი, 20 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დაიწყო ნატოს შეიარაღებული ძალების დიდი მანევრები რაინის ბიბრალტარიდან ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაპირებამდე. პრესის ცნობებით, მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ დაახლოებით 150 გემი, 400 თვითმფრინავი და 40 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კონტრ-ადმირალმა მაკეიმ გუშინ ლონდონში განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მანევრებში მონაწილეობისათვის გამოჰყოფენ 71 გემს, მათ შორის ავიამზიდებსა და ატომურ წყალქვეშა ნავებს, ინგლისი კი — 29 გემს. მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიისა და პორტუგალიის შეიარაღებული ძალები.

აქ მეტად ღირსშესანიშნავად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ნატოს ქვეყნებმა ეს „ძალის დემონსტრაცია“ დაუკავშირეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის დაწყებას, რომელმაც, უნდა განიხილოს განიარაღების პრობლემა.

„ნიაღვარი“ ნიუ-იორკის გირჟაზე

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე მშვიდობის მოციქულების — სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა ნიუ-იორკში ჩასვლის დღეს ნიუ-იორკის ბირჟაზე აღნიშნულ იქნა აქციების კურსის მკვეთრი დაცემა.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საagენტო იუწყება, აქციების კურსის დაცემა ყველაზე დიდი იყო მთელი წლის განმავლობაში. „მხოლოდ რამდენიმე აქციამ აიცილა თავიდან მათი მფლობელების მიერ კურსის მასობრივი დაცემა, — წერს საagენტო. — ყველა კოტირებული აქციის საერთო საბაზრო ღირებულება დღეს დაეცა 4,5 მილიარდი დოლარით“. საagენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო მოვლენებმა, რომლებიც ხდება უოლ-სტრიტის მახლობლად“, სადაც დადგა ნიუ-იორკში „ბალტიკა“, „უეჭველად გავლენა იქონიეს ამ ნიაღვარზე“.

„ნიუ-იორკ ჯაიმსის“ აღიარება

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი სულცბერგერი კომენტარს უკეთებს რეაქციული ორგანიზაციების ცილისმწამებლურ კამპანიას და პრესის ცალკეულ არამეგობრულ გამონთქვამებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა ჩამოსვლასთან დაკავშირებით, და წერს: „აქ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. — რედ.) შეიკრიბებიან ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო ლიდერები. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ რომ მასპინძლის მოვალეობას ვკისრულობთ, უმწიფარ ცუდ გემოვნებას ვიჩენთ“.

„ნაცვლად იმისა, რომ გვიხაროდეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კისრულობს სათანადო ფუნქციებს“, განაგრძობს იგი, ამერიკის შეერთებული შტატები იჩენენ „ულამაზო უკმაყოფილებას“.

„ასეთ საქციელს, — დასასკვნის მიმომხილველი, — შეუძლია მხოლოდ არახელსაყრელი გამოხმაურება გამოიწვიოს საზღვარგარეთ. თუ ჩვენ ოდესმე გამოვიჩინეთ გაბედულება და მოვითხოვეთ პრივილეგიები ჩვენს ტერიტორიაზე მიგვეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ახლა უნდა გვეყოს ჭკუა, რომ გულთადად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი“. „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, — ხაზგასმით აღნიშნავს იგი, — ვალდებულია კარი გაუღოს არა მხოლოდ იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებსაც ჩვენ (ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატები, — რედ.) ამყამად ვწყალობთ“.

სულცბერგერი „უაზრობას“ უწოდებს ზოგიერთი რეაქციონერის მოწოდებას ეიზენჰაუერისადმი — არ შეხვდეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

საირუს იტონის განცხადება

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, მრეწველმა და ფინანსისტმა საირუს იტონმა, რომელიც დღეს ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა ნიუ-იორკის ნავსადგურში, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, იმედი მაქვს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი გავლენას მოახდენს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებაზეო.

იტონმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვს მიმოსვლა შეუზღუდეს მანჰეტენის კუნძულზეთ. „ამერიკის შეერთებული შტატები წვრილმანი ღონისძიებებით ვერაფერს მოიგებენო“, — თქვა მან.

ეიზენჰაუერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თეთრ სახლში მოკლე სიტყვა წარმოთქვა სხვა ქვეყნების ეროვნების იმ ამერიკელთა წარმომადგენლების წინაშე, რომლებიც არჩევნებში ნიქსონსა და ლოჯს უჭერენ მხარს.

ეიზენჰაუერმა მოუწოდა შეკრებილთ, რომ „ამ დღეებში, ამ როგორც ჩანს, არაჩვეულებრივად შფოთიან დროში, როცა შფოთის თავები ცდილობენ შემოიპარონ ჩვენს ქვეყანაში“, მხარი დაუჭირონ რესპუბლიკური მთავრობის პოლიტიკას.

მსოფლიო პრობლემები, თქვა პრეზიდენტმა, გავლენას ახდენენ ჩვენს საშინაო პრობლემებზე. ზოგჯერ ჩვენი საშინაო პრობლემები ძნელი და გადაუდებელი გვეჩვენება — ფერმერთა პრობლემა ან ფულის კურსის დაცემის ტენდენცია, ინფლაცია, ან სხვა რამ — ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამაა საყოველთაო მშვიდობისა და წესრიგისათვის კაცობრობის საუკუნეობრივ ბრძოლასთან შედარებით.

„ თუ საკმარისი იქნება იმ ადამიანთა რიცხვი მსოფლიოში — აფრიკაში. აზიაში, ამერიკის ყველა ქვეყანაში თუ ევროპაში, რომლებიც თავიანთ აზრს მიაპყრობენ ამ უდიდეს პრობლემას, ბოლოს და ბოლოს გადავჭრით ამ პრობლემას“, — თქვა ეიზენჰაუერმა.

ამისათვის, განაგრძო პრეზიდენტმა, „ეკონომიური ძლიერებისა და, თუ საჭირო იქნება, სამხედრო ძლიერების საშუალებით“, უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი აბსოლუტური უშიშროება“.

„უნდა ვთქვა, — განაცხადა ეიზენჰაუერმა, — რომ ეს როდი გულისხმობს რაიმე აგრესიულ განზრახვას ვისიმე მიმართ. დადგა ისეთი დრო, როცა მსოფლიო მასშტაბით აგრესიულ ომზე ლაპარაკი ნიშნავს თვითმკვლელობაზე ლაპარაკს. მე ვფიქრობ, რომ ყოველ შემთხვევაში ყველა ჩვენგანმა შეიგნო ეს“.

თეთრი სახლი „ვერაფერს ამბობს“

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საagენტო ვაშინგტონიდან იუწყება, თეთრმა სახლმა უარი თქვა განეცხადებინა რაიმე იმ სიტყვის გამო, რომელიც დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკს ჩამოსვლის შემდეგ.

კუბის დელეგაციის პროტესტი

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის შუამავალ წარმომადგენელმა მანუელ ბისბემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი ამერიკის პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე კუბის დელეგაციის წევრების მიმართ. წერილში აღნიშნულია, რომ „გამოიჩინა რა უპატივცემლობა“ კუბის დელეგაციის მეთაურის ფიდელ კასტროს მიმართ, ნიუ-იორკის პოლიციამ ხელი შეუშალა მას პასუხი გაეცა იმ პირთა მისალმებაზე, რომლებიც მას ხვდებოდნენ.

ეს შემთხვევა, ნათქვამია წერილში, მოწმობს, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა, საერთაშორისო ურთიერთობის დარგში თავისი მტრობის გრძნობებისაგან ვერ გაურჩევია პატივისცემისა და ზრდილობის საჭირო ღონისძიებანი, რის უფლება აქვს დელეგაციათა ყველა წევრს, რომელნიც მიემგზავრებიან ნიუ-იორკს, რათა შეასრულონ თავიანთი ვალი და მოვალეობა ყველაზე მაღალ საერთაშორისო ორგანოში“.

ამავე დროს წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ყურადღება მიპყრობილია მტრული ხასიათის შეზღუდვებზე, რაც დაწესებულია ფიდელ კასტროსათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე მისი ყოფნის დროს და დაბრკოლებაზე, რომელსაც კუბის დელეგაცია წააწყდა, როცა დასაბინავებლად ადგილს ეძებდა ნიუ-იორკში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

საბჭოთა ხორბალი ინდოეთის მინდვრებში

როგორც ინდოეთის უტარ პრადეშის შტატის საკანონმდებლო ასამბლეაზე განაცხადა შტატის სოფლის მეურნეობის მინისტრმა მოპანლალ გაუტამმა, შტატში აწარმოებენ სხვადასხვა ჯიშის საბჭოთა ხორბლის მოყვანის ცდებს. გაუტამმა აღნიშნა, რომ შტატის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მიიღო 60-მდე სხვადასხვა ჯიშის გვალვაგამძლე ხორბალი. ამჟამად სწავლობენ უტარ პრადეშის სოფლის მეურნეობაში ზოგიერთი ჯიშის საბჭოთა ხორბლის მასობრივი დანერგვის შესაძლებლობას.

იუზეფ ცირანკევიჩის ვიზიტი ინდოეთში

20 სექტემბერს ინდოეთის მთავრობის მოწვევით დელიში ოფიციალური ვიზიტი დღის ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი.

მეჰმეთ შეჰუ ნიუ-იორკში

20 სექტემბერს ნიუ-იორკს ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეთ შეჰუ.

მეჰმეთ შეჰუ მეთაურობს ალბანეთის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ი. ტიტო ნიუ-იორკს ჩავიდა

20 სექტემბერს ნიუ-იორკს ჩამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც მეთაურობს იუგოსლავიის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

ესპანელი პატრიოტების გასამართლება

როგორც ფრანს პრესის საagენტოს კორესპონდენტი მადრიდიდან იუწყება, ბარსელონის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ოთხი ესპანელი პატრიოტის გასამართლება, რომელთაც ბრალად ედებათ „სამხედრო შეთქმულების მომზადება“. ისინი დააპატიმრეს რვა თვის წინათ. სამხედრო პროკურორმა 12 წლის პატიმრობა მოითხოვა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის.

„ეროვნული“ ...

...ბერი. (საკდესი). ...ბერი. (საკდესი). ...ბერი. (საკდესი).

ლენტეხის მინერალური წყალი

მგზავრები ყოველთვის ჩერდებიან ამ ანკარა წყაროსთან, დაისვენებენ, არემარეს გადახედავენ, დაეწაფებიან ცივ წყალს, ჭიქას რომ აავსებენ, ცომციმა ბუშტულებიც აისხმება მძივად.

ფაყისა და კახურის უღელტეხილს შუა ამოჩუხჩუხებს მიწიდან ეს საუცხოო წყარო. ქვემოთ მდინარე ლასკადურა მიბორგავს დაკლაკნილ ხევში. აქ ბევრგან შეგხვდებათ დაჟანგული კლდეები. გაგიკვირდებათ კიდეც, საიდან მოედო ამ ლოდებს ჟანგი. მაგრამ თქვენს ცნობისმოყვარეობას მალე გასცემენ პასუხს კლდეებიდან მორაკრაკე წყაროები. მხოლოდ ჯიხვები, არჩვები და გარეული მტრედები თუ ახერხებენ ამ მაუვალი, ბოლოვითო სუფთა წყლების დალევას. და მერე რამდენია ასეთი სასიამოვნო, მშვენიერი სასმელი წყალი მდინარე ლასკადურის ხეობაში!..

გამოირკვა, რომ რაიონის ცენტრიდან — ლენტეხიდან კილომეტრნახევრის დაშორებით ერთი წლის წინათ აღმოჩენილი მინერალური წყალი ესენტუკის, ბორჯომის და სხვა განთქმულ მინერალურ წყლებზე გაცილებით უკეთესია.

საქართველოს საკურორტო სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ ლენტეხის მინერალური წყალი თავისი ქიმიური შეხაერთებით კარგი გულის, ღვიძლის, ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ეგზემის, რევმატიზმის, შაქრის ავადმყოფობისა და სხვა სახის დაავადებათა სამკურნალოდ.

ამჟამად წარმოება მინერალური წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები, მის ტერიტორიაზე შენდება კულტურისა და დასვენების პარკი.

განუზომელია ლენტეხის რაიონის ბუნებრივი სიმდიდრე. მის ულამაზეს მთებსა და ბარში უხვად ამოდის მიწიდან ძვირფასი მინერალური წყლები. მოვუაროთ, ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ისინი — ასეთია ლენტეხელ მშრომელთა სურვილი.

გ. მუკბანიანი.

ექსკურსია საცდელ სადგურში

გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოეწყო თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ექსკურსია საქარის საცდელ სადგურში (ზესტაფონის რაიონი).

საცდელ სადგურში ექსკურსანტები შეხვდნენ მეცნიერ მუშაკებს, რომლებიც ექსკურსანტებს ესაუბრნენ ვაზის დატვირთვის, დარგის სიხშირის, ნამყნის სიგრძის, ვაზის გადაწვენის, შპალერზე გადაყვანის, ნიადაგის მომზადების, მექანიზაციისა და სხვა საკითხებზე. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის გაიმართა გაცხოველებული აზრთა ურთიერთგაზიარება. დასასრულ მოხდა საცდელ სადგურში დამზადებული მრავალწლიანი ღვინოების დეგუსტაცია.

ვ. კუტალაძე.

ზრდის ჯილდო

მკითხველთა წერილებიდან

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ჩაის კრეფის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ამას წინათ საზეიმო ვითარებაში გადაეცა რაიონის გარდამავალი წითელი დროშა. ჩვენ, ლესელ მეჩაიეებს, გადაწყვეტილი გვაქვს ბოლომდე შევინარჩუნოთ ეს დროშა. პირადად მე სეზონის ბოლომდე კიდევ მოვკრეფ 250 კილოგრამ ფოთოლს.

გ. ჩახუნაშვილი,
კომკავშირელი მეჩაიე.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიისა და ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები დაუღალავად შრომობენ ყამირზე უხვი მოსავლის აღებისათვის. ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში არიან ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტები პ. ხითარიშვილი, ა. ფორჩხიძე, გ. ჯიოშვილი და ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები ვ. ჯამრიშვილი, ო. ნოზაიძე, ე. მელია, ზ. ბობღოანშვილი, გ. აფციაური, ერთ-ერთი მოწინავეა ჯამბულის საბჭოთა მეურნეობაში. მათ გაასუფთავეს 12.000 კვ. მეტრი საკალო ფართობი, გაწმინდეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 25.000 ცენტნერი მარცლეული. კარგი მუშაობისათვის ბრიგადის წევრებმა ვ. ჯამრიშვილმა, ე. მელიამ და პ. ხითარიშვილმა მიიღეს ფულადი პრემიები.

ჯ. მახათაძე,
სტუდენტი.

ლიტერატურა და ხელოვნება

ხელოვნების ამბები

მაღაროელთა თეატრის ახალი სეზონი

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი მიმდინარე სეზონში დადგამს მ. ბარათაშვილის პიესას „ჩემი ყვავილეთი“, მ. კიკვაძის „დიმიტრი თავდადებულს“, ო. ჩიჯავაძის „თხუნელას“, აკ. წერეთლის „მზეცრემლში“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, ვ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვ. პიესებს. დიდი ქართველი მგოსნის აკ. წერეთლის საიუბილეო დღეებში ნაჩვენები იქნება დ. თაქთაქიშვილის პიესა „შარავანდედი“. სპეციალური დადგმა მომზადდება საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის. განსაზღვრულია მოზარდთათვის „ბიძია თომას ქოხის“ დადგმა.

გორის თეატრის გასტროლები

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა გორის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. ზუგდიდელ მაყურებლებს თეატრმა უჩვენა მ. ჯაკობიანის „არსენა მარაბდელი“, ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, ვ. გაბესკირიას „შრიალებენ ვერხვები“, გ. ზაპოლსკაიას „პანი დულსკაიას მორალი“, პ. კორნელის „სიდი“ და ო. ბალზაკის — „დედინაცვალი“.

გ. ალშიგაია,
ვ. ცოფაია.

რაიონული დათვალიერება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიეძღვნა ხაშურის რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების რაიონული დათვალიერება, რომელიც ოთხ დღეს მიმდინარეობდა რაიონული კულტურის სახლში.

ყიფრის გადაწყვეტილებით IX რესპუბლიკური დათვალიერებაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხაშურის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

უ. კაკანაძე.

რევოლუციური წარსულის ფურცლები

ჩვენი მკითხველი სავსებით ბუნებრივ ინტერესს იჩენს საბჭოთა ხალხების ისტორიულ-რევოლუციური წარსულისა და მისი გმირული ტრადიციებისადმი, იმ ლიტერატურისადმი, რომელიც მას ასახავს. ამას წინათ მკითხველმა ორი ასეთი ახალი წიგნი მიიღო ჩვენი ლიტერატურებისაგან. ეს არის ი. დუბინსკი-მუხაძის **„ნოე ბუაჩიძე“** და ს. სარქისოვისა და ლ. როსტოვცევის **„გარდახული დღეთა ამბავი“.**

ი. დუბინსკი-მუხაძის წიგნი, რომელიც ახლახან გამოსცა „მოლოდაია გვარდიამ“ „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების“ ბიოგრაფიულ სერიაში, მოგვითხრობს მგზნებარე ბოლშევიკის სამფელ (ნოე) ბუაჩიძის/ ცხოვრების გზის შესახებ. წიგნში წარმოდგენილია მდიდარი ისტორიულ-საარქივო მასალა. თვალწინ გვიდგება ნოე ბუაჩიძე — მისი იატაკქვეშა რევოლუციური მოღვაწეობა, თუ ამერიკული ბალეტის თეატრის გასტროლები თბილისში.

სურათზე: სცენა ჩაიკოვსკის მუსიკიდან მიხედვით შექმნილი ჯორჯ ბალანჩინის ბალეტიდან „თემა ვარიაციებით“.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

მოძრავი გამოფენა

სახვითი ხელოვნების პროპაგანდას ჩვენში სულ უფრო დიდი გაქანება ეძლევა. მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში დიდ როლს ასრულებს საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეა, რომელიც სისტემატურად მართავს თვალსაჩინო საბჭოთა მხატვრების გამოფენას არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეამ საქართველოს მხატვართა მოძრაკა გამოფენა გაგზავნა რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში. ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების დაახლოებით 100 საუკეთესო ნიმუში ექსპონირებულ იქნება ახმეტაში, ყვარელში, თელავში, ლაგოდეხში, წითელწყაროში, სიღნაღში, გურჯაანში, საგარეჯოსა და რუსთავში.

გამოფენა თვითეულ რაიონში დაახლოებით ორ კვირას გაგრძელდება.

(საქდესი).

უძველესი გიგლიოთეკა მთაში

თიანეთის რაიონულ ბიბლიოთეკას, რომელსაც 1885 წელს ჩაუყარა საფუძველი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, 75 წელი შეესრულდა. აქ არაერთხელ ყოფილა ვაჟა-ფშაველა, რომელიც ყოველნაირად ეხმარებოდა ბიბლიოთეკას.

დღეს რაიონული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 20 ათას ტომს შეადგენს. იგი მომსახურებას უწევს 1.100-ზე მეტ მუდმივ მკითხველს, რომელთა შორის არიან კოლმეურნეები, მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები.

ამას წინათ კულტურის სახლში გაიმართა ბიბლიოთეკის მკითხველთა საიუბილეო კონფერენცია. მოხსენება — „ბიბლიოთეკის 75 წლისთავი“ წაიკითხა ბახრომეოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ი. ბეჟანიშვილმა, მოგონებით გამოვიდა უხუცესი მკითხველი მანანა გოჯიაშვილი. სიტყვები წარმოთქვეს თიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელმა ნანული ყურშავიშვილმა, რაიბჭლიოთეკის გამგემ რ. ბურდულმა, მკითხველმა ფატი შუშანაშვილმა და სხვ.

ჩვენი სტუდენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძე, 19 სექტემბერი. (საკ. დისა). აქ იყვნენ \ცეილონის პლანტაციების მუშათა პროფკავშირის წარმომადგენლები, რომლებიც ჭოთა კავშირში იმყოფებიან. კავშირის სოფლის მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. დელეგაცია მიზნად ისახავს გაეცნოს საბჭოთა მეჩაიეების შრომასა და ცხოვრებას.

— ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვიგონია და წაგვიკითხავს საქართველოს ჩაის პლანტაციების მუშაკთა შესახებ, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა პლანტაციების მუშათა პროფკავშირის ვანმა მურტი ელიატამბუ ტბრანანმა. — მაგრამ ის, რაც ჩვენ ახლა ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია. თქვენში პლანტაციების ჩვეულებრივად უხვი მოსავალია — საშუალოდ 3 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი ჰექტარზე. ჩვენ ამაზე მხოლოდ ოცნებობ. დამახასიათებელია, რომ ფოთლის სავეგეტაციო პერიოდი ჩვენში ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე საქართველოში, მაგრამ მოსავალი ერთნახევარჯერ ნაკლებია.

ცეილონის პლანტაციების მუშათა დელეგაცია აფხაზეთში გზავრა.

მანქანა-კონტროლიორი

ფულის ოპერაციების თვითლიკვიდაციის შემცირებისა და მშრომელთა ეკონომიური ხელმჯობესების მიზნით ყაზაკეშირის სახბანკის გამგეობის შეკრებამ დამზადდა სალაროს საკონტროლო მანქანა, რომლებიც მიღებული ფულის რეგისტრაციას აწარმოებენ და ამ როლს უწევენ მოლარეების მუშაობის საკონტროლო ანგარიში თვითონ. ეს საბუთების რეგისტრაციას და კონტროლს უწევს მოლარეების მუშაობას. სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ მიიღო 57 ასეთი მანქანა, რომლებიც გაეგზავნათ სხვადასხვა ქუთაისის, ფოთის, გორისა და თბილისის განყოფილებებს.

ამ ახალი ტექნიკის დანერგვით, მეოთხე მესამე კვარტალში განთავისუფლდა 57 კონტროლიორი, რომლებიც გადანაცვლებული იქნებიან სხვა სამუშაოზე.

ი. გულაძე,
სახბანკის რესპუბლიკური კანტორის სექტორის უფროსი.

შემთხვევა ილიმის ჯაიგაში

ირკუტსკი, 19 სექტემბერი. (საკ. ინ.). ეს ამბავი მონადირე ფ. მ. ვოლინმა შეემთხვა შორეულ ილიმის ტაიგაში. ერთ კილომეტრზე სოფელ კატოდან. ვოლინი ნადირს მისდევდა და გავიდა მდინარის — დიდი და პატარა ნეტის შესაყარზე. ძველი მონადირე ქალისაგან წაქცეული ფიჭვის ახლოს ჩერდა, რომ პაპიროსი მოეწია და ... გზა კომპასით შეემოწმებინა. მაგრამ უცნაურია: მაგნიტის ისარი შეტრიალებულიყო. მაგნიტის წაქცეული გიგანტის ფესვებ... ქვეშ.

ვოლინმა ძაბრში შეიხედა, ... შავი ქვა დაინახა. აიღო ნატეხი და ... ვიეში ჩაიტანა. შემდეგ გეოლოგებს ... ზავნა, რომ გაეგო რა იყო ეს ... გეოლოგიური ლაშქრობის შტაბში ... კორესპონდენტს აცნობეს: ვოლინ ... აღმოაჩინა რკინა-მაგნეტიტის ... ანალიზმა ცხადყო, რომ იგი შეიცავ... პროცენტ ლითონს.

ირკუტსკის ოლქის მეკვლეები ... გზავრნენ გეოლოგიურ ლაშქრობაში ... საზვერავად. მათგან უკვე მიღებული ... განაცხადი.

ჰაინრიხ ბიოლი ეკუთვნის დასავლეთ გერმანიის იმ მწერალთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაც მიმართულია ომის, მილიტარიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ. ბიოლი გერმანული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ჰაინრიხ ბიოლი

ბაში ნავსადგურში ვიდექი და თოლიებს შევეკერეოდი. ჩემი ნაღვლიანი სახე თვალში მოხვდა პოლიციელს, რომელიც ამ უბანში მორიგეობდა. ვიდექ და გაოგნებულივით შევეკერეოდი მოფარფატე ფრინველებს, ისინი საჭმლის ძებნაში ამაოდ ხან ჰაერში შეჩერდნენ კამარას, ხან კი წყალს გაკრავდნენ ფრთას. ნავსადგური დაცარიელებულიყო, მაზუთიან წყალს მწვანე ფერი გადაჰკროდა და შიგ ათასნაირი ნაყარ-ნუყარი ტვიტიებდა. არც ერთი გემი არ ჩანდა, ამწეებს ჟანგი მოჰკიდებოდა. საწყობები ჩამოქცეულიყო. ნავსადგურის შავ ნანგრევებში სიჩუმე სუფევდა. ვირთაგვებიც კი არსად ჩანდნენ.

მე ერთი თოლია ამოვიღე მიზანში და იმის აღმა-დაღმა ფრენას ვადევნებდი თვალს. თოლია შეშინებული მერცხალივით, მეტწილად წყლის შორიახლოს დაფრინავდა, ხანდახან თუ აიჭრებოდა წიგნილით მაღლა, რათა თავის ამქარს შეერთებოდა. ვინმეს რომ ეთქვა, ინატრე რაც გა აგიხდებაო, სიამოვნებით პურს ვინატრებდი, რომ თოლიები დამეპურებინა, საკენკი დამეყარა და იმათი პურო ფრენისათვის ბოლო მომეღო, მიზანი მენიშნებინა. მაგრამ რა, თვითონაც იმ თოლიებივით მშიერი და დაღლილი ვიყავი.

უცებ ვიღაცამ მგრძანებლურად ხელი დამკრა მხარზე და მითხრა: „გამომყევით“! ამასთანავე, იმავე ხელმა შემაჯანჯლარა და ჩემი შემობრუნება სცადა. არც გავნძრეულვარ, ხელი მოვიცილე და მშვიდად გუთხარი: „შეშლილი ხომ არ ხართ“?

„ამხანაგო“, — მომიგო ჯერ კიდევ უჩინარმა კაცმა, — „გაფრთხილებთ“.

„ბატონო ჩემო“, — შევეპასუხე.

„არავითარი ბატონო“, — დამიყვირა გაბრაზებულმა, — „ყველანი ამხანაგები ვართ“, მერე გვერდით ამომდგა და შემომხედა. იძულებული შევიქენი თვალი თვალში გამეყარა: ის დიჯი ჩანდა კამეჩივით, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სამსახურებრივი მოვალეობის გარდა არაფერი ეჭამა.

„კი მაგრამ რა მიზეზით“... — ის იყო მსურდა დამეწყო...

„მიზეზი საკმარისია“, — მითხრა მან: „თქვენი ნაღვლიანი სახე“. ჩემდაუნებურად გამეცინა.

„რა გაცინებს!“ — ახლა კი იგი ნამდვილად გაბრაზდა. თავდაპირველად მისი საქციელი მოწყენილობას მივაწერე, ვიფიქრე, ალბათ ვერც ერთი უპასპორტო მეძავი, ვერც მთვრალი მეზღვაური, ვერც ქურდი, და ვერც კიდევ დეზერტირი დაიჭირა-მეთქი, მაგრამ, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ის არ ხუმრობდა, ნამდვილად სურდა ჩემი დაპატიმრება.

„გამომყევით“!..

„კი მაგრამ რატომ?“ — შევეკითხე წყნარად.

ვიდრე გონს მოვიდოდი, პოლიციელმა მარცხენა მაჯაზე ხელბორკილი ჩამომაცვა და იმ წუთას მივხვდი, რომ ჩემი საქმე წასული იყო. უკანასკნელად მივხედე მოფარფატე თოლიებს, მერე სწრაფი მოძრაობით თავის დაღწევა და წყალში გადახტომა ვცადე: ამ ჭუჭყიან წუმპეში თავის დახრჩობა მერჩივნა, ვიდრე სადმე უკანა ეზოში რომელიმე ჯალათს დავეხრჩე, ან კვლავ ციხეში ამომეყო თავი. მაგრამ, პოლიციელმა ისე მაგრად ჩამიჭირა, რომ უკან მიხედვაც კი შეუძლებელი იყო.

„კი მაგრამ რატომ?“ ერთხელ კიდევ შევეკითხე პოლიციელს.

„არსებობს კანონი, რომლის ძალითაც ბედნიერი უნდა იყო“.

„ძალიანაც ბედნიერი ვარ!“ — წამოვიყვირე სწრაფად.

„თქვენი ნაღვლიანი სახე... რას ნიშნავს“?

„მაგრამ, კანონი ხომ ჯერ ახალია“, — ვთქვი მე.

„ოცდათექვსმეტი საათია, რაც გამოქვეყნდა და კარგად მოგეხენებათ, რომ ყოველი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ“.

„რომ არ ვიცოდი“!

„იცოდი თუ არ იცოდი, დანაშაული არა მცოდნეა. კანონი გუშინწინ გამოაქვეყნეს რადიოთი, დაბეჭდილი იყო ყველა გაზეთში და ამასთანავე“, — აქ მან მედიდურად შემომხედა, — „ამასთანავე იმ ხალხს, ვინც არ სარგებლობს არც პრესითა და არც რადიოთი, სპეციალური ფურცლებით აუწყეს, ის ფურცლები იმპერიის ყველა ქუჩასა და ეზოში გადმოყარეს. ალბათ იმასაც გვეტყვით, სად გაატარეთ უკანასკნელი ოცდათექვსმეტი საათი“.

პოლიციელმა სულ კინწისკვრით წამათრია. ახლა პირველად ვიგრძენი, რომ ციოდა და უპალტოოდ ვიყავი, პირველად ახლა მიაღწია შიმშილმა უმაღლეს წერტილს და ვიგრძენი, რომ კუჭი მეწყოდა. პირველად ახლა მივხვდი, რომ ჭუჭყიანი, გაუპარსავი, ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი ვიყავი და რომ არსებობდა კანონი, რომლის ძალითაც ყველა ადამიანი სუფთა, გაპარსული, მხიარული და მაძღარი უნდა ყოფილიყო. პოლიციელმა საფრთხობელასავით წინ გამიგდო. ქუჩები ცარიელი იყო, საპოლიციო განყოფილებაც არ იყო შორს, და რადგანაც ვიცოდი მალე კვლავ მიზეზს მიპოვნიდნენ და დამაპატიმრებდნენ, გული დამამძიმდა. პოლიციელს ჩემი სოყმაწვილის ადგილებში მივყავდი, რომელთა მონახულება ნავსადგურის ლიერების შემდეგ მინდოდა. კვლავ მეზიდა ბაღები, სავსე აქორჩილი ბუჩქებით, ბალახმოდებული გზებით, ლამაზი თავისი უწესრიგობით. ახლა კი ირგვლივ ყველაფერი მოსუფთავებული, დაგეგმილი, მოწესრიგებული და ოთხკუთხედად იყო დაყოფილი. აქ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით სამამულო შენაერთები ვარჯიშობდნენ. მხოლოდ ცა იყო კვლავ ისეთი, როგორიც წინათ, და ჰაერი, როგორც იმ დღეებში, როცა გული ოცნებით მქონდა სავსე.

გზაზე მიმავალმა შენიშნე: საყვარულისათვის განკუთვნილ ზოგიერთ ყაზარმაზე სახელმწიფო ემბლემა იყო ჩამოკიდებული. ალბათ იმათი გულისათვის, ვინც ოთხშაბათს ჰიგიენურ სიხარულს უნდა ზიარებოდა. ზოგიერთ ლუდხანას სმის ემბლემა გამოეფინა — თუნუქის ტოლჩა, რომელსაც სახელმწიფო ალმის ფერები დაჰყვებოდა ზოლებად: ღია ყავისფერი და მუქი ყავისფერი, რაც ნიშნავდა: აქ დალევა ნებადართულია. ნამდვილი მხიარულება სუფევდა იმათ გულში, ვინც შეტანილი იყო ოთხშაბათის მსმელთა სახელმწიფო სიაში და ვისაც მოხაწილეობა უნდა მიეღო საოთხშაბათო ლუდის სმაში.

ყველა, ვინც გზად გვხვდებოდა, ჩქარა ჩაგვივლიდა ხოლმე და მოვალეობის გრძნობით აღსავსე გამომეტყველებას იღებდა; მაღაზიიდან გამოსული ქალები ცდილობდნენ სახისთვის მხიარული გამომეტყველება მიეცათ; რადგან ნაბრძანები იყო: დიასახლისს, რომელიც მოწოდებულია სახელმწიფო მუშას სალამოთი ძალა აღუდგინოს, სახარული და მხიარულება უნდა ეტყობოდესო.

მაგრამ ყველანი მოხერხებულად გვექცევდნენ გვერდს, ისე რომ არც ერთ მათგანს ჩვენთვის გზა არ გადაუჭრია. ქუჩაზე, ჩვენგან უკვე ოც ნაბიჯზე, სიცოცხლის ყოველგვარი ნიშან-წყალი წყდებოდა; ყველა ცდილობდა სასწრაფოდ მაღაზიაში შესულიყო ანდა კუთხეში შეეხვია, ზოგიერთი უცხო სახლში შევარდებოდა ხოლმე და შეშინებული მანამდის იდგა კარს უკან, ვიდრე ჩვენი ფეხის ხმა არ მიწყდებოდა.

მოთხრობა

მხოლოდ ერთხელ, სწორედ მაშინ, გზაჯვარედინზე რომ გადავდიოდით, ვინმე მოხუცი კაცი შემოგვხვდა, ის კაცს სკოლის მასწავლებლის ნიშანი ეკეთა. უკანდახევა ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა (მისალმებისას, სრული მორჩილების ნიშნად, მან სამჯერ დაიტყა თავზე ხელი) თავისი მოვალეობა შეესრულებინა: სახეში სამჯერ შემომფურთხა და თანაც მომძახა — „გამცემო ღორო“! მან კარგად დამიმიზნა, მაგრამ ცხელი დღე იყო და, ეტყობა, ხანა გამშრალა ჭრნდა — სახეში რამდენიმე უმნიშვნელო ზეფიფი მომხვდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი გვიკრძალავდა, მაინც შევეცადე სახელოთი მომეწმინდა სახე. პოლიციელმა პანჭური მითავაზა და ბეჭში მუშტი მდრუზა, თანაც წყნარი ხმით დაუმატა: „ეს ერთი“! ცხადია „ეს ერთი“! იყო პირველი ყველაზე უფრო ლმობიერი ფორმა დასჯისა, რომელიც პოლიციელს შეეძო გამოეყენებინა.

სკოლის მასწავლებელი სასწრაფოდ გავშორდა. დანარჩენებმა მოახერხეს გვერდის ავლა. ხოლოდ ერთმა ფერმკრთალმა, გაფიქვინებულმა ქერა ქალმა, რომელიც სასიყვარულო აზარმის წინ საღამოს ტკბობის შემდეგ ჰაერზე გამოსულიყო, ჰაეროვანი კოცნა გამოიგზავნა მადლობის ნიშნად. ქალს გაეუღიმე; პოლიციელი იძულებული გახდა ისეთი სახე მიეღო, ვითომც არაფერი შეუნიშნავს. პოლიცია ასეთ ქალებს გარკვეულ თვისუფლებას ანიჭებს. ისინი ხომ არსებითად საყოველთაო შრომისუნარიანობის ზრდას უწყობენ ხელს. ამიტომაც, კანონი იმათ არ ეხება. სახელმწიფო ფილოსოფიის სამგზის დოქტორმა, ბატონმა ბლიგოეტმა, ასეთ ქალთა უყურადღებოდ დატოვება ერთ-ერთ ფილოსოფიურ ჟურნალში დაგმო, როგორც სწყის ფაზაში მყოფი ლიბერალიზმის სიმპტომი. ის წერილი ქალაქში წასვლის წინადღეს წავიკითხე, როდესაც გლეხის ეზოში საპირფარეშოში ჟურნალის რამდენიმე გვერდი ვნახე დაფურცლული, ჟურნალის გვერდები ვიღაც სტუდენტს — ალბათ ამ გლეხის ვაჟს — ძლიერ ღრმაზროვანი შენიშვნებით აეჭრელებინა.

საბედნიეროდ, ის იყო მივაღწიეთ საპოლიციო უბანს, რომ საყვირიც ახმაურდა... უამრავი ხალხი მოეფინებოდა ქუჩებს. სახეზე ყველას ზომიერი ბედნიერება უნდა ჰქონოდა აღბეჭდილი. ნაბრძანები იყო სამუშაო დღის დამთავრებისას მეტისმეტი მხიარული გამომეტყველება არავის მიეღო, სამაგიეროდ სამუშაოს დაწყების წინ უნდა ეხიარულათ და ემღერათ.

ამ უბნის საპოლიციო განყოფილების კარებს, უბრალოდ რომ ვთქვათ ბეტონის ფილას, ორი გუშაგი სდარაჯობდა, რომლებსაც წინ რომ ჩაუვლიდი, საერთოდ მიღებული „ფიზიკური დასჯის“ ღონისძიებისათვის უნდა მიემართათ. იმათ თოფის კონდახები ჩამეცხეს და რეგოლვერი მთხლიშეს ფერდებში, სახელმწიფო კანონის № 1 პრეამბულის თანახმად, რომელიც იუწყებოდა: „ყველა პოლიციელი ვალდებულია ყველა შეპყრობილს (ისინი პატიმარს გულისხმობდნენ) თავისი ძალაუფლების დაღი დაჩნიოს. გამონაკლისს შეადგენს ის, ვინც დამნაშავე დაიჭირა, რომელსაც უფლება ეძლევა აღნიშნული „ფიზიკური სასჯელი“ დაკითხვის დროსაც გამოიყენოს“. № 1 სახელმწიფო კანონი თავის მხრივ სტუყვა-სტტყვით შემდეგს იუწყებოდა: „ყველა პოლიციელს შეუძლია ყველა დასჯოს, და კიდევაც უნდა დასჯოს ის, ვინც კანონს წინააღმდეგ რამეს შესცოდავს. კოლეგებისათვის არსებობს არა დასჯის თავისუფლება, არამედ დასჯის თავისუფლების შესაძლებლობა“.

ჩვენ ერთი გრძელი, ცარიელი ტალანი გავიარეთ, რომელსაც ძლიერ დიდი ფანჯრები ჰქონდა. შემდეგ, კარები ავტომატურად გაიღო.

თითქმის ცარიელ ოთახში შევედით, რომელშიც მხოლოდ საწერი მაგიდა, ტელეფონი და ორი სავარძელი იდგა; ეს შუა ოთახში უნდა გავშიმუღიყავი. პოლიციელმა მუზარადი მოიხადა და დაჯდა.

თავდაპირველად სიჩუმე იყო და არაფერი მომხდარა; ასე ხდება ყოველთვის; ეს არის სწორედ ცუდი. ვატყობდი, რომ სულ უფრო და უფრო გამომელია არაქათი. ვიცოდი რომ დალუპული ვიყავი.

რამდენიმე წამის შემდეგ უსიტყვოდ შემოვიდა ერთი ფერმკრთალი კაცი, უმცროსი გამომძიებელი, რომელსაც მოყავისფერო ფორმა ეცვა. იგი უსიტყვოდ დაჯდა და შემომხედა.

„პროფესია“?

„უბრალო მოქალაქე“.

„რომელ წელს დაიბადე“?

„1921 წელს“.

„უკანასკნელი საქმიანობა“?

„პატიმარი“.

ორივემ ერთმანეთს შეხედა.

„როდის და სად გაგათავისუფლეს“.

„გუშინ, მე-12 სახლი, საკანი 13“.

„სად გადაგგზავნეს“?

„დედაქალაქში“.

„საბუთები“.

ჯიბიდან განთავისუფლების მოწმობა ამოვიღე და პოლიციელს გადავეცი. მან მოწმობა მწვანე ბილთს მიამაგრა, რომელშიც ჩემს ჩვენებას იწერდა.

„მაშინდელი ბრალდება“?

„მხიარული სახე“.

ორივემ ერთმანეთს შეხედა.

„უფრო ზუსტად“, — მკითხა გამომძიებელმა.

„მაშინ, — ვუთხარი მე, — პოლიციელს თვალში მოხვდა ჩემი მხიარული სახე. ეს იყო საყოველთაო გლოვის დღე, უმაღლესი მმართველის გარდაცვალების დღე“.

„რამდენ ხანს იჯექით“?

„ხუთი წელი“!

„ყოფაქცევა“?

„ცუდი“.

„საფუძველი“?

„მუშაობისათვის თავის არიდება“.

„დაკითხვა დამთავრებულია“.

შემდეგ უმცროსი გამომძიებელი წამოდგა, მომიახლოდა და სწორედ წინასამი კბილი ერთი დარტყმით ჩამომტვრია, იმის ნიშნად, რომ ასეთი გამოუსწორებელი განსაკუთრებულად უნდა დავსჯილიყავი. ეს იყო დასჯის გაძლიერებული ზომა, რომელიც გათვალისწინებული არ მქონია. შემდეგ უმცროსი გამომძიებელი ოთახიდან გავიდა.

ყველა მი მიტყვამდა: უფროსი გამომძიებელი, მთავარი გამომძიებელი, მოსამართლე და პოლიციელი. დასასრულ მოწყენილი სახისათვის ათი წელი მომისაჯეს, ისე როგორც მხიარული სახისათვის ხუთი წელი.

ამის შემდეგ უნდა ვეცადო არავითარი სახე აღარ ვიქონიო.

თარგმანი გერმანულიდან

ნოდარ რუხაძისა.

დამთავრდა მეხანძრეთა ასპარეზობა

ბათუმში დამთავრდა სახანძრო დაცვის მე-16 რესპუბლიკური შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითს სპორტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, სუხუმის, გაგრის, ოჩამჩირის, ფოთისა და სხვა ქალაქების — სულ ოცდაორმა ნაკრებმა გუნდმა.

ასმეტრიანი ზოლის გადალახვაში გაიმარჯვა ბათუმის ნაკრებმა გუნდმა. ასპარეზობის ამავე სახეობაში სპორტის ოსტატის ნორმა შესრულა და საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა ბათუმელმა სპორტსმენმა შ. მანჯავიძემ.

სახანძრო ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თბილისის ნაკრები გუნდი პირველ ადგილზე გამოვიდა, ბათუმისა კი — მეორე ადგილზე.

საიერიშო კიბით მეოთხე სართულის ფანჯარაზე ასვლაში ბათუმელი მეხანძრეები უძლიერესი აღმოჩნდნენ. საქართველოს სსრ ჩემპიონის სახელი მოიპოვა ბათუმელმა ბ. უშვერიძემ, ბათუმელი სპორტსმენები გამარჯვებულნი გამოვიდნენ აგრეთვე სამმუხლიანი კიბით მე-3 სართულის ფანჯარაზე ასვლაში. ორჭიდში საქართველოს ჩემპიონი გახდა ქუთაისელი სპორტსმენი ძ. ხოტივარი.

ბათუმის ნაკრებმა გუნდმა (გუნდის მწვრთნელი მ. დარცმელია) დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონის სახელი.

მეორე ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა ქუთაისის ნაკრებმა გუნდმა.

გამარჯვებულ გუნდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის სამმართველოს გარდამავალი თასი, ხოლო სპორტსმენებს — სიგელები და პრემიები.

კაპიტანი პ. ცეცხლაძე.

ნახ. ი. ქოჭიაშვილისა.

თბილისის დინამოელები მეორე ადგილზე

დამთავრდა სსრ კავშირის საზაფხულო პირველობა კალათბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის 1960 წლის ჩემპიონმა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელთა გუნდმა. გათამაშებაში არმიელმა სპორტსმენებმა მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადეს რიგის სკას კალათბურთელებთან და 11 შესაძლებ